



TRANSPARENCY INTERNATIONAL GEORGIA
საქართველოს განვითარებისა - საკართველო

ანგარიშვაღილებების დახმარების პანელისტილებისა -
აღიარებული სანდაციების ჩატარების
უძლიერებელობის გადაღილების პიროვნეული საკართველოში



უსაფრთხოება 2011



OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION
ფონდი და საზოგადოებრივი საკართველო

ამ კვლევის ჩატარება ფონდ „ღია საზოგადოება – საქართველოს“ გულუბვი დაწმარების წყალობით
გახდა შესაძლებელი. ანგარიშში გამოთქმული მოსაზრებები მხოლოდ „საერთაშორისო
გამჭვირვალობა – საქართველოს“ პოზიციას ასახავს.

**ანგარიშვალდებულება დახმარების განხორციელებისას – კოლექტიური
ცენტრების რეაბილიტაცია იძულებით გადაადგილებულ პირთათვის
საქართველოში**

2011 წლის სექტემბერი
„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“

სარჩევი

I.	მოკლე შინაარსი	3
II.	შესავალი და წინაისტორია	5
	• „მუნიციპალური განვითარების ფონდის“ მიერ ჩატარებულ სარემონტო სამუშაოებზე გაწეული დანახარჯის ანალიზი	7
III.	კვლევის მეთოდოლოგია	13
IV.	პრობლემების ანალიზი	17
	• ზოგადი მონაცემები მონახულებულ კოლექტიურ ცენტრებში მცხოვრები დევნილების შესახებ	21
V.	სარემონტო სამუშაოებთან დაკავშირებული ძირითადი პრობლემები	22
	• ნესტი და ობი – სადრენაჟო ინფრასტრუქტურის მოუწესრიგებლობა	22
	• სამშენებლო მასალებისა და სარემონტო სამუშაოების შესრულების დაბალი ხარისხი	28
	• მუნიციპალური სერვისები – წყალმომარაგებასთან და ნაორჩენების გატანასთან დაკავშირებული პრობლემები	30
	• „მუნიციპალური განვითარების ფონდის“ კონტრაქტორი კომპანიების მიერ დეფექტების გამოსწორების ვალდებულების არასათანადო შესრულება	31
VI.	საცხოვრებლების პრივატიზაცია და მობინადრეთა ამხანაგობები	35
VII.	დასკვნები და რეკომენდაციები	38

მოკლე შინაარსი

2009 წლის იანვარსა და 2011 წლის იანვარს შორის, მთელი საქართველოს მასშტაბით გარემონტდა ბევრი კოლექტიური ცენტრი, რომელშიც 1990-იანი წლების პირველი ნახევრის კონფლიქტების შედეგად იძულებით გადაადგილებული პირები ცხოვრობენ. ეს დადებით შემობრუნებად შეიძლება ჩაითვალოს წინა წლებთან შედარებით, როდესაც ეს კოლექტიური ცენტრები უკიდურესად ცუდ მდგომარეობაში იმყოფებოდა და, პოლიტიკური თვალსაზრისით, დევნილთა საბინაო პრობლემების მოგვარების პერსპექტივა არ არსებობდა.

„საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი“, რომელიც საქართველოს მთავრობისადმი დაქვემდებარებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს წარმოადგენს, დევნილთა საცხოვრებლების რეაბილიტაციის პროექტების უმეტესობას ზედამხედველობდა. ამ პროექტების განხორციელება ფონდმა ტენდერებში გამარჯვებულ სხვადასხვა სამშენებლო კომპანიებს მიანდო. თუმცა, სარემონტო სამუშაოების საერთო ხარისხი და ფონდის სამეთვალყურეო მექანიზმის თანმიმდევრულობა კითხვებს ბადებს. ეს მეტწილად ეხება დასავლეთ საქართველოში, განსაკუთრებით სამეგრელოში, არსებულ კოლექტიურ ცენტრებს. სამოქალაქო-საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა ამ კოლექტიურ ცენტრებთან დაკავშირებით ანგარიშები გაავრცელეს, რომელიც სხვადასხვა საინფორმაციო საშუალებებშიც გამოქვეყნდა. ამ ანგარიშთა უმეტესობა შეიცავს შენობებში არსებული სერიოზული დეფექტების ამსახველ ფოტოებს, რასაც თან ერთვის სარემონტო სამუშაოების არასათანადო ხარისხთან დაკავშირებით დევნილთა მიერ წარდგენილი საჩივრები.

ითვალისწინებს რა ამ ანგარიშების შინაარსსა და საზოგადოების ინტერესს დევნილთა საბინაო დახმარების მნიშვნელოვან ასპექტებთან დაკავშირებით, ეს კვლევა მიზნად ისახავს დასავლეთ საქართველოში მდებარე ძველი კოლექტიური ცენტრების სარემონტო სამუშაოების ხარისხის შეფასებასა და მათ შესახებ დევნილთა ზოგადი მოსაზრებებისა და დამოკიდებულების ანალიზს. ამასთან ერთად, ანგარიშში „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ მოკლედ განმარტავს, თუ როგორ მუშაობს „მუნიციპალური განვითარების ფონდი“ ტენდერებში გამარჯვებულ სამშენებლო კომპანიებთან და რა როლს ასრულებენ ისინი რეაბილიტაციის პროცესში.

კვლევის ძირითადი დასკვნები მდგომარეობს შემდეგში:

- იმ დევნილთა უმრავლესობა, რომლებსაც „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ წარმომადგენლები გაესაუბრნენ, ზოგადად, მათი ბინების რეაბილიტაციით კმაყოფილი იყო და აღნიშნავდა, რომ ბინები ახლა უკეთ გამოიყურება და უფრო მყუდროა, ვიდრე ადრე იყო. ამასთან ერთად, ის დევნილი ოჯახები, რომლებიც ახლად რეაბილიტირებულ ბინებში განასახლეს, ზოგადად, საცხოვრებელი ფართის ზომით კმაყოფილი იყვნენ.
- „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ მკვლევართა გუნდის მიერ მონახულებული ცენტრებიდან 5 საკმაოდ კარგ მდგომარეობაში იყო და სარემონტო სამუშაოების ჩატარების კუთხით რაიმე მნიშვნელოვანი დეფექტი არ აღენიშნებოდა. ამ შენობებში მცხოვრები დევნილები სამშენებლო კომპანიების მიერ ჩატარებული სამუშაოებით კმაყოფილი ჩანდნენ.

- ამის მიუხედავად, 17 კოლექტიური ცენტრი იმ 22 ობიექტიდან, რომელიც მკვლევართა გუნდმა მოინახულა, აჩენდა კითხვებს, იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად შეესაბამებოდა ჩატარებული სარეაბილიტაციო სამუშაოების საერთო ხარისხი დევნილთა გრძელვადიან საბინაო საჭიროებებს, რადგან ამ შენობებს რეაბილიტაციის შემდეგ მაღევე სერიოზული დეფექტები აღმოაჩნდა.
- მონახულებული შენობების უმეტესობის შემთხვევაში, კოლექტიური ცენტრების სარეაბილიტაციოდ შერჩევასა და სტრუქტურულ შეფასებას, მათ შორის შესასრულებელი სამუშაოების დანახარჯისა და სარგებლიანობის ანალიზს, რომელიც ერთობლივად ჩაატარეს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრომ და ადგილობრივმა მუნიციპალიტეტებმა, კარგად დაგეგმილი სარეაბილიტაციო პროექტების შედგენა არ მოჰყოლია.
- სარემონტო სამუშაოები, ფაქტიურად, ინტერიერის/კოსმეტიკური რემონტით შემოიფარგლებოდა და არ ითვალისწინებდა ზოგი ისეთი ღრმა პრობლემის მოგვარებას, როგორიცაა ნესტი, ობი და კანალიზაციის სისტემის გაუმართაობა, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული პრობლემები ცხოვრების ხარისხზე მეტ ზეგავლენას ახდენს, განსაკუთრებით გრძელვადიან პერსპექტივაში.
- ნესტი და ობი, რომელიც 13 შენობაში სერიოზულ სირთულეებს იწვევდა, ერთ-ერთ მთავარ სტრუქტურულ პრობლემას წარმოადგენს, რომლის მოგვარება შესაძლებელი იყო კოლექტიურ ცენტრებში შესაბამისი სადრენაჟო სისტემების დამონტაჟებით, მაგრამ ეს არ განხორციელებულა. იგივე ეხება მოძველებულ საკანალიზაციო ინფრასტრუქტურასაც, რომელსაც, როგორც ჩანს, სერიოზული რეაბილიტაცია და მოდერნიზაცია არ განუცდია.
- „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ მიერ მონახულებული კოლექტიური ცენტრებიდან 17 ობიექტში „მუნიციპალური განვითარების ფონდსა“ და სამშენებლო კომპანიებს 1-წლიან პასუხისმგებლობის პერიოდში სარემონტო სამუშაოების დეფექტები სათანადოდ არ გამოუსწორებიათ. ეს შეიძლება ფონდის ზედამხედველობისა და შემოწმების მექანიზმის ნაკლებ სიმკაცრეს მიეწეროს, რომლის ფუნქციას კონტრაქტორი კომპანიების მიერ მეორე ტიპის დეფექტების დროულად გამოსწორების უზრუნველყოფა წარმოადგენდა.
- გარემონტებული კოლექტიური ცენტრების პრივატიზაციის დაყოვნება დევნილების წინაშე მდგარ კიდევ ერთ ძირითად პრობლემად რჩება. ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს თითოეული კოლექტიური ცენტრისთვის პრივატიზაციის კონკრეტული ვადები არ დაუდგენია.

შესავალი და წინაისტორია

2008 წლის აგვისტოს რუსეთთან ომის შემდეგ, რომლის შედეგად 7,950 ოჯახი (20,726 პირი) სამხრეთ ოსეთიდან და კოდორის ხეობიდან (ზემო აფხაზეთი) დევნილი გახდა, საქართველოს მთავრობამ მასშტაბური განსახლების პროგრამის განხორციელება დაიწყო, რომელიც 1990-იანი წლების პირველი ნახევრის კონფლიქტების შედეგად იძულებით გადაადგილებულ პირთა (81,517 ოჯახი/235,659 პირი) საბინაო პრობლემების მოგვარებასაც ითვალისწინებს.¹ შესაბამისად, ამჟამად არსებობს დევნილთა ორი „ნაკადი“, რომლებიც მრავალი სახის საბინაო პრობლემების წინაშე დგანან. „პირველი ტალღის“ დევნილთა 60 პროცენტი (53,639 ოჯახი/155,122 პირი) კერძო სახლებში ცხოვრობს, ხოლო 40 პროცენტი (35,057 ოჯახი/101,263 პირი) კოლექტიურ ცენტრებში/კორპუსებშია განსახლებული.² ამ კოლექტიურ ცენტრებს თითქმის 20 წლის განმავლობაში ყურადღება არ ექცეოდა და ბევრი მათგანი სავალალო მდგომარეობაში იყო. ბევრი მათგანის საკუთრების საკითხი ჯერაც არ არის გარკვეული (კერძო მფლობელობაშია თუ სახელმწიფოს ეკუთვნის). 2008 წლის ომის შემდეგ, საერთაშორისო დონორებმა (მაგ. მსოფლიო ბანკი, ევროკავშირი, ა.შ.შ.-ის მთავრობა, გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ინსტიტუტი (KfW), გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ)) ახალი ტალღის დევნილების საბინაო საკითხების მოსაგვარებლად მილიონობით დოლარი გამოყვეს. ამ ფონზე, დევნილთა პირველი ტალღის მძიმე მდგომარეობის უგულებელყოფა შეუძლებელი გახდა. 2010 წლის დასაწყისში მთავრობამ შეიმუშავა ახალი სამოქმედო გეგმა, რომელიც მოზრდილ საბინაო კომპონენტსაც შეიცავდა, ხოლო ევროკავშირმა მთავრობას დაფინანსება (51.5 მილიონი ევრო) გამოუყო, რომელსაც ის „მუნიციპალური განვითარების ფონდის“ გავლით მიიღებდა.³ ამ თანხის უმეტესი ნაწილი, დახლოებით 91 მილიონი ლარი (35.9 მილიონი ევროს ექვივალენტური თანხა),⁴ მთელი ქვეყნის მასშტაბით ძველი კოლექტიური ცენტრების სარემონტო სამუშაოებს მოხმარდა. ამასთან ერთად, გაერო-ს ლტოლვილთა უმაღლესმა კომისარიატმა (UNHCR) და მისმა პარტნიორებმა, ევროკავშირის, ა.შ.შ.-ის მთავრობისა და შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (SIDA) დაფინანსებით, იმავე მიზნით 3.2 მილიონი ლარი (1.4 მილიონი ევროს ექვივალენტური თანხა)⁵ დახარჯეს.

¹ „დევნილთა განსახლების სტრატეგია და სამუშაო გეგმა“, მიღებულია 2010 წელს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მიერ და მოგვიანებით განახლდა 2011 წლის დასაწყისში.

² იქვე.

³ 2009–2011 წლებში, ევროკავშირმა იძულებით გადაადგილებულ პირთა მიმართ სამოქმედო გეგმის განხორციელების მხარდასჭერად, საქართველოს მთავრობასთან, მიზნობრივი საბიუჯეტო დახმარების პროგრამის ფარგლებში, სამი დაფინანსებასთან დაკავშირებული ხელშეკრულება გააფორმა. პირველი ხელშეკრულება, რომელიც 10 მილიონი ევროს გამოყოფას ითვალისწინებდა, ძირითადად 2008 წლის ომის შედეგად იძულებით გადაადგილებულ პირთათვის კოტეჯების მშენებლობისთვის იყო გამიზნული; მეორე ხელშეკრულება, რომელიც 51.5 მილიონი ევროს გამოყოფას ეხებოდა, 90-იანი წლების პირველი ნახევრის კონფლიქტების შედეგად ადგილაცვალ პირთა კოლექტიური ცენტრების რეაბილიტაციას ისახავდა მიზნად, ხოლო მესამე ხელშეკრულებით გამოყოფილი 43.5 მილიონი ევრო ფოთსა და წყალტუბოში ძველი დევნილებისთვის ახალი კორპუსების მშენებლობას მოხმარდა. იხილეთ ევროკავშირის მიერ საქართველოს მთავრობასთან დადებული ფინანსური ხელშეკრულებები.

⁴ ვალუტის კონვერტაცია ეფუძნება 2010 წლის 15 ოქტომბრისათვის არსებულ გაცვლით კურსს (1 ა.შ.შ. დოლარი = 1.79 ლარი, 1 ევრო = 2.53 ლარი), როდესაც „მუნიციპალური განვითარების ფონდმა“ მთელი საქართველოს მასშტაბით კოლექტიური ცენტრების ყველა სარეაბილიტაციო პროექტი დაასრულა.

⁵ ვალუტის კონვერტაცია ეფუძნება 2010 წლის 30 ივნისისათვის არსებულ გაცვლით კურსს (1 ა.შ.შ. დოლარი = 1.84 ლარი, 1 ევრო = 2.25 ლარი), როდესაც გაერო-ს ლტოლვილთა უმაღლესმა კომისარიატმა (UNHCR) და მისმა პარტნიორებმა დაასრულეს ზემოხსენებული 21 კოლექტიური ცენტრის რეაბილიტაცია.

ამის შედეგად, 2009 წლის იანვრის შემდეგ, პირველი ტალღის დევნილებისთვის მთლიანობაში გარემონტდა 294 შენობა (7,653 ბინა), რომელიც 4,300 ოჯახზე მეტის განსახლების საშუალებას იძლევა. აქედან 273 შენობის (7,241 ბინის) რეაბილიტაცია „მუნიციპალური განვითარების ფონდმა“⁶ მოახდინა, 21 შენობისა (412 ბინის) კი – გაერო-ს ლტოლვილთა უმაღლესმა კომისარიატმა⁷ და მისმა პარტნიორებმა. ამ სამუშაოების მთლიანმა ღირებულებამ 94.4 მილიონი ლარი შეადგინა, რომლის 95 პროცენტზე მეტის ხარჯვას „მუნიციპალური განვითარების ფონდი“ განაგებდა, ხოლო დანარჩენი თანხების ხარჯვას, გაერო-ს ლტოლვილთა კომისარიატის ხელმძღვანელობით, სართაშორისო დახმარების სააგენტოები და არასამთავრობო ორგანიზაციები აკონტროლებდნენ. ამ პროექტების დაფინანსების უმეტესი ნაწილი ევროკავშირის პროგრამის „სტაბილურობის ინსტრუმენტი“ მეშვეობით იქნა მოზიდული.

საქართველოს მთავრობის ძალისხმევა, რომელიც 2008 წლის ომის შემდეგ წარმოშობილ იძულებით გადაადგილებულ პირთა ახალი ტალღის საბინაო პრობლემებთან ერთად, დევნილთა პირველი ტალღის პრობლემების მოვარებასაც ითვალისწინებს, ქებას იმსახურებს. 1990-იანი წლების პირველი ნახევრის შემდეგ, წლების განმავლობაში, კოლექტიურ ცენტრებში მცხოვრები დევნილები, დიდწილად ძველი, ნახევრად დანგრეული შენობების სავალალო მდგომარეობის გამო, სერიოზული პრობლემების წინაშე იდგნენ, რომლებიც სტაბილური საცხოვრებლის არარსებობას უკავშირდებოდა. მთავრობის მიერ ბოლო დროს განხორციელებული სარეაბილიტაციო პროექტების მოცულობა და მასშტაბი, რომლებიც „მუნიციპალური განვითარების ფონდის“ ზედამხედველობით განხორციელდა, შეიძლება ნამდვილად ჩაითვალოს დადებით შემობრუნებად წინა წლებთან შედარებით, როდესაც, პოლიტიკური თვალსაზრისით, დევნილთა საბინაო პრობლემების მოგვარების პერსპექტივა არ არსებობდა.

ამის მიუხედავად, სარემონტო სამუშაოების საერთო ხარისხი და ფონდის სამეთვალყურეო მექანიზმის თანმიმდევრულობა კითხვებს ბადებს. ეს მეტწილად ეხება დასავლეთ საქართველოში, განსაკუთრებით სამეგრელოში, არსებულ კოლექტიურ ცენტრებს. სამოქალაქო-საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა ამ კოლექტიურ ცენტრებთან დაკავშირებით ანგარიშები გაავრცელეს, რომელიც სხვადასხვა საინფორმაციო საშუალებებშიც გამოქვეყნდა. ამ ანგარიშთა უმეტესობა შეიცავს შენობებში არსებული სერიოზული დეფექტების ამსახველ ფოტოებს, რასაც თან ერთვის სარემონტო სამუშაოების არასათანადო ხარისხთან დაკავშირებით დევნილთა მიერ წარდგენილი საჩივრები.⁸

ითვალისწინებს რა ამ ანგარიშების შინაარსსა და საზოგადოების ინტერესს დევნილთა საბინაო დახმარების მნიშვნელოვან ასპექტებთან დაკავშირებით, ეს კვლევა მიზნად ისახავს დასავლეთ საქართველოში მდებარე ძველი კოლექტიური ცენტრების სარემონტო სამუშაოების ხარისხის შეფასებასა და მათ შესახებ დევნილთა ზოგადი მოსაზრებებისა და დამოკიდებულების ანალიზს. ამასთან ერთად, ანგარიშში „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ მოკლედ განმარტავს, თუ როგორ მუშაობს „მუნიციპალური განვითარების ფონდი“ ტენდერებში

⁶ „საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი“, „მუნიციპალური განვითარების ფონდის ფარგლებში მიმდინარე კონტრაქტების სია“, მონაცემები წარმოდგენილია 2011 წლის აპრილის მდგომარეობით

⁷ გაერო-ს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი, „2007–2010 წლების თავშესაფრის პროექტები სტაბილური საცხოვრებლისთვის“, მონაცემები წარმოდგენილია 2010 წლის აპრილის მდგომარეობით

⁸ ინგა გვასალია, „დევნილებს საცხოვრებლების რეაბილიტაციის ხარისხი არ აკმაყოფილებთ“, „ადამიანის უფლებათა ცენტრი“, სამეგრელო, 2010 წლის 15 ოქტომბერი,


<<http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=12396&lang=geo>> (ნანახია 2011 წლის 29 აგვისტოს)

გამარჯვებულ სამშენებლო კომპანიებთან და რა როლს ასრულებენ ისინი რეაბილიტაციის პროცესში.

„მუნიციპალური განვითარების ფონდის“ მიერ ჩატარებულ სარემონტო სამუშაოებზე გაწეული დანახარჯის ანალიზი

ქვემოთ წარმოდგენილია ყველა იმ სარემონტო სამუშაოს მიმოხილვა, რომელიც „მუნიციპალური განვითარების ფონდის“ კონტრაქტორმა კომპანიებმა დევნილების მველი ნაკადისათვის (3,855 ოჯახი) საცხოვრებლების უზრუნველსაყოფად განახორციელეს. მიმოხილვა ეფუძნება ფონდის ვებ-გვერდზე საჯაროდ ხელმისაწვდომ მონაცემებს (2011 წლის აპრილის მდგომარეობით). ამ მონაცემების მიხედვით, 2009 წლის იანვარსა და 2011 წლის იანვარს შორის, ფონდი ზედამხედველობას უწევდა 82 პროექტის განხორციელებას საქართველოს 9 რეგიონში, რომელთა ფარგლებში განხორციელდა 7,241 ბინის (380 000 კვადრატული მეტრი) სტრუქტურული შეკეთება. ამ პროექტების მთლიანმა ღირებულებამ 85 მილიონი ლარი შეადგინა.

დიაგრამა 1: გარემონტებული ბინების რაოდენობა რეგიონების მიხედვით




„მუნიციპალური განვითარების ფონდის“ წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ, შეზღუდული დაფინანსების გამო, ზემოხსენებული პროექტები არ მოიცავდა შენობების სრულ რეაბილიტაციას/სტრუქტურულ ცვლილებას და დამხმარე ნაგებობების (მაგ. გარე ინფრასტრუქტურა და კომუნიკაციები) გამაგრებას.⁹ სარემონტო სამუშაოების უდიდესი ნაწილი

⁹ „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ ელ-ფოსტით კორესპონდენცია ლაშა მგელაძესთან („საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის“ აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე) და პაატა ჭარაქაშვილთან („საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის“ საერთაშორისო ურთიერთობების განყოფილების უფროსი), 2011 წლის 18 აგვისტო


(ღირებულების მიხედვით) სამმა კომპანიამ – შ.პ.ს. „ბლოკ ჯორჯიამ“, შ.პ.ს. „ნიუ ენერჯიმ“ და შ.პ.ს. „მშენებელი-80“-მა განახორციელა.

დიაგრამა 2: სარემონტო სამუშაოებზე გაწეული დანახარჯი სამშენებლო კომპანიების მიხედვით




ამასთან ერთად, „მუნიციპალური განვითარების ფონდი“, კონტრაქტორებთან ცალკე დადებული ხელშეკრულებების საფუძველზე, რომელიც გაზით, წყლითა და ელექტროენერგიით მომარაგებას, ასევე, სადრენაჟო და საკანალიზაციო სისტემების მოწესრიგებას ითვალისწინებდა, მთელ რიგ კოლექტიურ ცენტრებში ზედამხედველობას უწევდა დამატებით 23 სარეაბილიტაციო პროექტს. ამ პროექტების საერთო ფაქტობრივა დანახარჯმა 6 მილიონი ლარი შეადგინა. ამ სახსრების უმეტესი ნაწილის (2.8 მილიონი ლარი) ხარჯვას სააქციო საზოგადოება „საქპიდრომშენი“ განაგებდა, რომელიც წყალმომარაგებისა და საკანალიზაციო სისტემების შეკეთებას ხელმძღვანელობდა. კვლევამ აჩვენა, რომ ფონდის დამატებითი სარეაბილიტაციო პროექტები სხვადასხვა რეგიონში განსხვავებული სამუშაოების ჩატარებას ითვალისწინებდა. მაგალითად, თბილისში თითქმის ყველა ეს პროექტი ელექტროენერგიით მომარაგებას უკავშირდებოდა, სხვა რეგიონების დიდ ნაწილში კი წყალმომარაგების, კანალიზაციისა და სადრენაჟო სისტემების მოწესრიგებას გულისხმობდა. ქვემოთ წარმოდგენილ ორ დიაგრამაში ნაჩვენებია ამ დამატებითი პროექტების მთლიანი დანახარჯი რეგიონებისა და შემსრულებელი კომპანიების მიხედვით.

დიაგრამა 3: დამატებითი სარეაბილიტაციო პროექტები რეგიონების მიხედვით




დიაგრამა 4: რეაბილიტაციაზე გაწეული დამატებითი დანახარჯი სამშენებლო კომპანიების
მიხედვით



მთლიანობაში, „მუნიციპალური განვითარების ფონდის“ ყველა სარეაბილიტაციო პროექტის ფაქტობრივმა დანახარჯმა, რომელიც კოლექტიურ ცენტრებში მცხოვრები „პირველი ტალღის“ დევნილების საბინაო საჭიროებების დასაკმაყოფილებლად იყო გამიზნული, 91 მილიონი ლარი შეადგინა. ამ თანხის 90 პროცენტზე მეტი შენობების სტრუქტურულ შეკეთებაზე დაიხარჯა, დანარჩენი კი დამატებით სარეაბილიტაციო პროექტებს (წყლით, ელექტროენერგიითა და გაზით მომარაგება, საკანალიზაციო და სადრენაჟო სისტემების მოწესრიგება) მოხმარდა.

დიაგრამა 5: პროექტების საერთო დანახარჯი სარემონტო სამუშაოების ტიპის მიხედვით



კოლექტიური ცენტრების სარეაბილიტაციოდ შერჩევის პროცესს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო და ადგილობრივი მუნიციპალიტეტები ხელმძღვანელობდნენ და შემდეგ „მუნიციპალური განვითარების ფონდს“ შენობების სიას აწვდიდნენ. ფონდის წამომადგენლები ამტკიცებენ, რომ ამ შენობათა რეაბილიტაციის თავდაპირველ ეტაპზე რეაბილიტაციის ერთგვაროვანი სტანდარტი არ არსებობდა. საპროექტო დოკუმენტებში მხოლოდ მცირე მოცულობის სამუშაოები (მაგ. კარ-ფანჯრების გამოცვლა, სახურავის ნაწილობრივი შეკეთება, ოთახების კოსმეტიკური რემონტი) იყო გათვალისწინებული და ამ დოკუმენტებს, შესაბამისი მუნიციპალიტეტების რეკომენდაციის საფუძველზე შერჩეული ადგილობრივი საკონსულტაციო კომპანიები ადგენდნენ. „მუნიციპალური განვითარების ფონდის“ ექსპერტები შერჩეული შენობების სტრუქტურულ შეფასებაში არ მონაწილეობდნენ და არც შესასრულებელი სარეაბილიტაციო სამუშაოების დანახარჯებისა და სარგებლიანობის ანალიზს ახდენდნენ.¹⁰

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ „მუნიციპალური განვითარების ფონდის“ წარმომადგენლებმა განუმარტეს, რომ, ევროკავშირის მიერ საქართველოს მთავრობასთან დადებული დაფინანსების ხელშეკრულების პირობების თანახმად, ფონდს თითოეულ კოლექტიურ ცენტრში თითო ოჯახზე/ბინაზე 10,000 ა.შ.შ. დოლარზე მეტი არ უნდა დაეხარჯა. აღსანიშნავია, რომ იგივე შეზღუდვა იმოქმედებს კოლექტიური ცენტრების რეაბილიტაციის

¹⁰ მგელაძე და ჭარაქაშვილი, იქვე.

შემდეგ ეტაპზეც, რომელიც ასევე ფონდის ზედამხედველობის ქვეშ და ა.შ.შ.-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დაფინანსებით განხორციელდება.¹¹

„მუნიციპალური განვითარების ფონდში“ მოქმედებს სისტემა, რომელიც სარეაბილიტაციო პროექტების თანმხლები დეფექტების თავდაპირველ დაფიქსირებასა და მათი გამოსწორების შემდგომ კონტროლს უზრუნველყოფს. კერძოდ, ფონდი გამოყოფს ზედამხედველ ინჟინერს/კონსულტანტს, რომელსაც სხვადასხვა სამშენებლო კომპანიებთან დადებული თითოეული კონტრაქტის შესრულების მონიტორინგი ევალება. ზედამხედველი ინჟინერი ადგილზე ადგენებს თვალყურს სარემონტო სამუშაოებს და მათი დასრულებიდან ერთი წლის განმავლობაში თითოეულ ობიექტს თვეში ერთხელ ან ორჯერ ათვალიერებს, რათა შეადგინოს მეორე ტიპის დეფექტების სია, რომლებიც შეიძლება სამუშაოს შესრულების დაბალი ხარისხით იყოს გამოწვეული. ამ დეფექტების სიის მიღების შემდეგ, სამშენებლო კომპანიები ვალდებული არიან, 1-წლიანი პასუხისმგებლობის პერიოდის განმავლობაში დამატებითი სარემონტო სამუშაოები ჩაატარონ. კერძოდ, ისინი ობიექტზე წელიწადში ორჯერ უნდა დაბრუნდნენ და რემონტის შემდგომი პრობლემები გამოასწორონ. ერთი თვის შემდეგ ობიექტზე ინჟინერი ბრუნდება, ამოწმებს, გამოსწორდა თუ არა დეფექტები და დევნილების ხელმოწერებით დადასტურებულ სარემონტო სამუშაოების დასრულების ოქმს იღებს.¹² იმ კომპანიებს, რომლებიც წარმატებით აღმოფხვრიან არსებულ პრობლემებს დეფექტებზე პასუხისმგებლობის დამადასტურებელი სერთიფიკატი ენიჭებათ, რომელსაც ხელს „მუნიციპალური განვითარების ფონდის“, ადგილობრივი მუნიციპალიტეტის, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს რეგიონალური ოფისისა და სამშენებლო კომპანიის წარმომადგენლები აწერენ. თუ კომპანია სარემონტო სამუშაოების შემდგომ დეფექტებს ერთი წლის ვადაში არ გამოასწორებს, ფონდს უფლება ენიჭება, მას კონტრაქტის მთლიანი ღირებულების 5 პროცენტი არ გადაუხადოს. ამის მიუხედავად, არც ფონდს და არც სამშენებლო კომპანიებს სარემონტო სამუშაოების დასრულების შემდეგ გარემონტებული შენობების მოვლაზე პასუხისმგებელობა აღარ ეკისრებათ.¹³

ერთ-ერთ წინა ანგარიშში, რომელიც ახალი დევნილებისათვის კოტეჯური ტიპის დასახლებების მშენებლობას ეხებოდა, „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ“ მოახდინა ამ კოტეჯების მშენებლობის პროცესისა და ხარისხის ანალიზი, რომელსაც ზედამხედველობას „მუნიციპალური განვითარების ფონდი“ უწევდა. მირითადი პრობლემები ფონდის მხრიდან მშენებლობის პროცესის ზედამხედველობასა და მშენებლობის სწრაფ ტემპს უკავშირდებოდა, რაც განსაკუთრებით თავდაპირველი დაგეგმარებისა და პროექტირების ეტაპზე შეიმჩნეოდა. კერძოდ, ანგარიშში ნაჩვენები იყო, რომ ფონდი ახალ კოტეჯებში დეფექტების დაფიქსირებისა და ამ დეფექტების დროულად გამოსწორების თანმიმდევრულ და ზუსტ კონტროლს არ ახდენდა. ამის შედეგად, მან შესაბამისი სამშენებლო კომპანიებისთვის ხარისხთან დაკავშირებული პრობლემებისათვის პასუხისმგებლობის დაკისრება ვერ შეძლო. ანგარიშში ასევე აღნიშნული იყო, რომ საქართველოს მთავრობის სურვილი, შედეგები ჩქარა ეჩვენებინა, და

¹¹ პაატა ჭარაქაშვილის (საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის) საერთაშორისო ურთიერთობების განყოფილების უფროსი) სატელეფონო ინტერვიუ „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოსთან“, 2011 წლის 23 აგვისტო

¹² „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“, „კოტეჯური ტიპის დასახლებები ახალი დევნილებისთვის საქართველოში: ანგარიშვალდებულება დახმარებისა და მშენებლობის პროცესში“, 2010 წლის აპრილი

¹³ ლაშა მგელაძის (საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის) აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე) ინტერვიუ „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოსთან“, 2011 წლის 28 ივნისი

დონორების მიერ დიდი თანხების სამთავრობო უწყებების გავლით გადარიცხვის ტენდენცია მშენებლობის დაბალი ხარისხის გამომწვევ მნიშვნელოვან ფაქტორებს წარმოადგენდა.¹⁴

მიუხედავად იმისა, რომ ახალი კოტეჯების მშენებლობა და ძველი საცხოვრებელი კორპუსების გარემონტება განსხვავებული პროცესებია, „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ წინა კვლევის დასკვნები ამ შემთხვევასაც შეესაბამება. კერძოდ, საჭიროა, რომ ფონდს გააჩნდეს უკეთესი ზედამხედველობის მექანიზმი და გარემონტებულ კოლექტიურ ცენტრებში გამოვლენილ პრობლემებზე მთავრობისა და დონორების ანგარიშვალდებულება უკეთ იქნას უზრუნველყოფილი. ეს საკითხები მომდევნო თავებში დეტალურად არის განხილული.

კვლევის მეთოდოლოგია

არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მედიის სხვადასხვა ანგარიშებში ნაჩვენებია, რომ საქართველოში „მუნიციპალური განვითარების ფონდის“ მიერ დევნილთა რიგი კოლექტიური ცენტრების რეაბილიტაცია მაღალი ხარისხით არ განხორციელებულა.¹⁵

ეს პრობლემა განსაკუთრებით მწვავედ დგას დასავლეთ საქართველოში, სადაც ფონდმა მისი სარეაბილიტაციო პროექტების დაახლოებით 80 პროცენტი განახორციელა. ამ ანგარიშებზე რეაგირებისა და მეტი ინფორმაციის მოპოვების მიზნით, „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ მკვლევართა გუნდი აჭარაში, იმერეთსა და სამეგრელოში მდებარე კოლექტიურ ცენტრებს ეწვია.

„მუნიციპალური განვითარების ფონდის“ ვებ-გვერდზე განთავსებული საჯაროდ ხელმისაწვდომი ინფორმაციის მიხედვით, ფონდი დასავლეთ საქართველოში დევნილების ძველი ნაკადისთვის 215 შენობის/5,218 ბინის სარემონტო სამუშაოებს უწევდა ზედამხედველობას (163 სამეგრელოში, 40 იმერეთში და 12 აჭარაში). ამ ობიექტებიდან „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ მკვლევარებმა 22 შენობა მოინახულეს (12 სამეგრელოში, 5 იმერეთში და 5 აჭარაში) და მთლიანობაში დაახლოებით 90 ოჯახთან ჩაატარეს ინტერვიუ (თითო შენობაში დაახლოებით 4 ოჯახთან).

კოლექტიურ ცენტრებში ვიზიტები ორ ეტაპად განხორციელდა. 16–18 მარტს, მკვლევართა გუნდი ქუთაისს, ბათუმსა და ზუგდიდს ეწვია და დევნილთა საკითხებზე მომუშავე ადგილობრივი არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებსა¹⁶ და

¹⁴ „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“, „კოტეჯური ტიპის დასახლებები ახალი დევნილებისთვის საქართველოში“, განმეორებითი ციტირება.

¹⁵ მაგალითად, შორენა კაკაბაძე, „დევნილების გარემონტებული საცხოვრებელი იტბორება“, „ადამიანის უფლებათა ცენტრი“, ქუთაისი, 2010 წლის 29 ოქტომბერი,

<<http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=12464&lang=geo>>, (ნანახია 2011 წლის 29 აგვისტოს)

¹⁶ 16 მარტს, ქუთაისში, „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ მკვლევართა გუნდი შეხვდა შემდეგი ადგილობრივი არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებს: „განათლება და სამყარო“, „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“ (საია), მეწარმე ქალთა ფონდი „სოხუმი“, ფონდი „აფხაზინტერკონტი“, ახალგაზრდული კლუბი „ჩვენი ხედვა“, „საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია“, „მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია“. 17 მარტს, ბათუმში, „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ შეხვდა საია-სა და „დემოკრატიის ინსტიტუტის“ წარმომადგენლებს. 18 მარტს, ზუგდიდში, „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ შეხვდა შემდეგი ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს: „ინვალიდ ქალთა და ინვალიდ ბავშვთა დედათა ასოციაცია – დეკა“, „სამართლებრივი დაცვის ინსტიტუტი“, ასოციაცია „იმედი“ – დევნილ ქალთა მოძრაობა მშვიდობისთვის, საქველმოქმედო ცენტრი „თანაზიარი“, „დევნილი ქალები საკუთარი უფლებების დაცვისთვის“, ასოციაცია „სამეგრელო – მედეა“.

ჟურნალისტებს შეხვდა, რათა სარემონტო სამუშაოებზე მათი მოსაზრებები მოესმინა. ამ შეხვედრებზე, მკვლევარებმა ჩაინიშნეს იმ კოლექტიური ცენტრების მისამართები, რომლებში ჩატარებული რემონტის ხარისხიც არასათანადოდ იყო შეფასებული, აგრეთვე ის ობიექტები, რომლებში ჩატარებული სარემონტო სამუშაოებიც, შეხვედრის მონაწილეთა თქმით, კარგი ხარისხით შესრულდა. სარემონტო სამუშაოებთან ერთად, ადგილობრივმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა ყურადღება დევნილთა წინამე მდგარ სხვა საბინაო საკითხებზეც გაამახვილეს, მათ შორის კოლექტიურ ცენტრებში საცხოვრებელი ფართების განაწილებასა და მათ მომავალ პრივატიზაციაზე.

აჭარაში, რეგიონულ არასამთავრობო ორგანიზაციებთან და ჟურნალისტებთან შეხვედრების გარდა, მკვლევართა გუნდმა ბათუმსა და ჩაქვში გარემონტებული 12 ობიექტიდან 5 შენობაც მოინახულა და, სარემონტო სამუშაოებზე ინფორმაციის მისაღებად, ამ ობიექტებში მცხოვრებ დევნილებს გაესაუბრა.

რეგიონებში მცხოვრები საკონტაქტო პირებისგან და აჭარის კოლექტიურ ცენტრებში განხორციელებული ვიზიტებიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ“, იმერეთსა და სამეგრელოში მომდევნო ვიზიტების დროს გამოსაყენებლად, სახელმძღვანელო კითხვარი შეიმუშავა.

კოლექტიური ცენტრების შემთხვევითი ნიმუშის შესარჩევად, მკვლევარებმა, მარტში ჩატარებული კონსულტაციების საფუძველზე, შეადგინეს არასათანადო და კარგი ხარისხით გარემონტებული შენობების სია, შემდეგ კი კიდევ ერთი სია იმგვარად შეადგინეს, რომ მასში შესულ კოლექტიურ ცენტრებში ჩატარებული სარემონტო სამუშაოების ხარისხი მათთვის უცნობი ყოფილიყო (40 გარემონტებული კორპუსიდან 5 იმერეთში და 163 გარემონტებული კორპუსიდან 12 სამეგრელოში). ამასთან ერთად, „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ“, საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის განაცხადების მეშვეობით, მიიღო ოცდაორივე კოლექტიურ ცენტრში (მათ შორის, აჭარაში უკვე მონახულებულ 5 ობიექტზე) სამუშაოების მაწარმოებელ სამშენებლო კომპანიებთან დადებული კონტრაქტების მყარი ასლები (ეს კოლექტიური ცენტრები „მუნიციპალური განვითარების ფონდის“ საჯაროდ ხელმისაწვდომი სიიდან იყო შერჩეული). ამ კონტრაქტებში დეტალურად არის აღწერილი თითოეულ შენობაში ჩატარებული სარემონტო სამუშაოები, მათი ღირებულების, შესრულების თარიღებისა და შემსრულებელი კომპანიების სახელწოდებების ჩათვლით. ფონდმა ასევე მოგვაწოდა აჭარის, იმერეთისა და სამეგრელოს 14 შერჩეულ კოლექტიურ ცენტრში შედგენილი დეფექტების გამოსწორების ოქმებისა და დევნილთა მიერ სამუშაოების დასრულების დამადასტურებელი ხელმოწერები: სენაკის სამხედრო დასახლების #210 კორპუსი; სენაკის ყოფილი სკოლის შენობა (რუსთაველის ქ. 112); ბათუმის მექანიკური ქარხნის დამხმარე შენობა (ლეონიძის ქ. 15ა); ბათუმის ყოფილი საბავშვო ბაღი (მელიქიშვილის ქუჩა, მე-3 შესახვევი, ბ. 21); ქუთაისის ყოფილი კოოპერაციული კოლეჯი (ნიკეას ქ. 12); ხონის სამხედრო დასახლების #91 კორპუსი; ახალსოფლის ყოფილი სკოლა–ინტერნატი (ზუგდიდის რაიონი); სოფელ ინგირის პროფსასწავლებლის #2 შენობა (ზუგდიდის რაიონი); ბათუმის ყოფილი ნარკოლოგიური დისპანსერი (ხახულის ქ. 5); ბათუმის საზღვაო აკადემიის შენობა (ხინიკაძის ქ. 4); ლესიჭინეს ყოფილი საბავშვო ბაღი (ჩხოროწყვის რაიონი); ქვედა ჩხოროწყვის ყოფილი #3 საბავშვო ბაღი (კვირკველიას ქუჩა); ქ. ჩხოროწყვის #3 სკოლა; სოფელ ოქტომბრის პროფსასწავლებელი და მისი საერთო საცხოვრებელი (ზუგდიდის რაიონი).

17–20 მაისს, „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ გუნდი იმერეთსა და სამეგრელოში შერჩეული 17 კოლექტიური ცენტრის მოსანახულებლად და დევნილებთან

¹⁷ ფონდმა მოგვაწოდა შემდეგი 14 კოლექტიური ცენტრის დეფექტების გამოსწორების ოქმები და დევნილთა მიერ სამუშაოების დასრულების დამადასტურებელი ხელმოწერები: სენაკის სამხედრო დასახლების #210 კორპუსი; სენაკის ყოფილი სკოლის შენობა (რუსთაველის ქ. 112); ბათუმის მექანიკური ქარხნის დამხმარე შენობა (ლეონიძის ქ. 15ა); ბათუმის ყოფილი საბავშვო ბაღი (მელიქიშვილის ქუჩა, მე-3 შესახვევი, ბ. 21); ქუთაისის ყოფილი კოოპერაციული კოლეჯი (ნიკეას ქ. 12); ხონის სამხედრო დასახლების #91 კორპუსი; ახალსოფლის ყოფილი სკოლა–ინტერნატი (ზუგდიდის რაიონი); სოფელ ინგირის პროფსასწავლებლის #2 შენობა (ზუგდიდის რაიონი); ბათუმის ყოფილი ნარკოლოგიური დისპანსერი (ხახულის ქ. 5); ბათუმის საზღვაო აკადემიის შენობა (ხინიკაძის ქ. 4); ლესიჭინეს ყოფილი საბავშვო ბაღი (ჩხოროწყვის რაიონი); ქვედა ჩხოროწყვის ყოფილი #3 საბავშვო ბაღი (კვირკველიას ქუჩა); ქ. ჩხოროწყვის #3 სკოლა; სოფელ ოქტომბრის პროფსასწავლებელი და მისი საერთო საცხოვრებელი (ზუგდიდის რაიონი).

ინტერვიუების ჩასატარებლად მეორედ გაემგზავრა. მკვლევართა მთავარი ინტერესის საგანს სარემონტო სამუშაოების ხარისხი და, პრობლემების აღმოჩენის შემთხვევაში, მათი სიმძიმის შეფასება წარმოადგენდა. როგორც მარტში, ისე მაისში განხორციელებული ვიზიტების განმავლობაში, მკვლევარები თითო შენობაში საშუალოდ 3–5 ოჯახს ესაუბრებოდნენ და თითო ინტერვიუ 15–30 წუთს გრძელდებოდა. ამასთან ერთად, „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ მკვლევარებმა დაათვალიერეს თითოეული შენობის როგორც ექსტერიერი, ისე ინტერიერი და ყველა მონახულებული კოლექტიური ცენტრის რეაბილიტაციის შემდგომი დინამიკა ფოტოგადაღებით დააფიქსირეს.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ გუნდი თითოეული მრავალსართულიანი შენობის სხვადასხვა სართულებზე მცხოვრებ ოჯახებს ესაუბრებოდა და, ოთახების მდგომარეობის ადგილზე სანახავად, მათ ბინებშიც შედიოდა. უმეტეს შემთხვევებში, მკვლევარები დევნილებს ბინის გარეთ, შენობების დერეფნებში ან აივნებზე ხვდებოდნენ. ვიზიტის მიზნის შესახებ თავდაპირველი გასაუბრების შემდეგ, დევნილები მკვლევარებს თავიანთ ოთახებს აჩვენებდნენ და დეტალურ ინტერვიუს აძლევდნენ.

კოლექტიურ ცენტრებში ვიზიტების უმრავლესობა დილით ან ნაშუადღევს განხორციელდა. შესაბამისად, „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ გუნდი იქ მცხოვრები ოჯახების ზოგ დასაქმებულ წევრს ვერ ნახულობდა. მკვლევართა მიერ დასმული კითხვები მირითადად დევნილების ზოგად ანკეტურ მონაცემებს და ჩატარებული სარემონტო სამუშაოებისა და მათი შემსრულებელი კომპანიების პასუხისმგებლობის ხარისხით დევნილთა კმაყოფილების დონეს შეეხებოდა. როგორც მარტში, ისე მაისში განხორციელებული ვიზიტების დროს, „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ გუნდი უფრო მეტ ქალს გაესაუბრა, ვიდრე მამაკაცს (დაახლოებით 70 პროცენტი 30–ზე), თუმცა როგორც ქალები, ისე მამაკაცები კითხვების მიმართ ღია დამოკიდებულებით ხასიათდებოდნენ და საკუთარ მოსაზრებებსაც აქტიურად გამოთქვამდნენ.

5 და 6 ივლისს, „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ გუნდი ქუთაისსა და ზუგდიდს ეწვია და კოლექტიურ ცენტრებში განხორციელებული ვიზიტების შედეგები ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციებისა¹⁸ და მედიის წარმომადგენლებს გააცნო. მათგან მოწოდებული წერილობითი კომენტარები ანგარიშის შესაბამისი თავების, განსაკუთრებით პასუხისმგებელი უწყებებისთვის განკუთვნილი რეკომენდაციების ნაწილის, განახლებისთვის იქნა გამოყენებული. „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ“ ამ ორ პრეზენტაციაზე ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს რეგისტრის რეგისტრული ოფისებისა და ადგილობრივი მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებიც მიიწვია, თუმცა ამ შეხვედრებს ხელისუფლების არც ერთი წარმომადგენელი არ დასწრებია. შემდეგ, „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ“ ქუთაისსა და ზუგდიდში ადგილობრივი ხელისუფლების შესაბამის წარმომადგენლებს ელ-ფოსტით პრეზენტაციის ქართულენოვანი სლაიდები

¹⁸ 5 ივლისს, ქუთაისში, „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ გუნდი შეხვდა შემდეგი ადგილობრივი არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებს: „განათლება და სამყარო“, „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“ (საია); „საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია“, მეწარმე ქალთა ფონდი „სოხუმი“, ფონდი „აფხაზინტერკონტი“, ახალგაზრდული კლუბი „ჩვენი ხედვა“, „მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია“ და კულტურულ-ჰუმანიტარული ფონდი „სოხუმი“. 6 ივლისს, ზუგდიდში, „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ გუნდი შეხვდა შემდეგი ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს: „ინვალიდ ქალთა და ინვალიდ ბავშვთა დედათა ასოციაცია – დეა“, „სამართლებრივი დაცვის ინსტიტუტი“ და ასოციაცია „სამეგრელო – მედეა“.

გაუგზავნა და ერთი კვირის ვადაში წერილობითი კომენტარების მიწოდება სთხოვა, მაგრამ ამ წერილებსაც არავინ გამოხმაურებია.

ამ ხანმოკლე კვლევის მიმდინარეობისას, „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ მკვლევარები „მუნიციპალური განვითარების ფონდისგან“ ინფორმაციას თავისუფლად იღებდნენ და, სარემონტო სამუშაოების ტექნიკური დეტალების განსახილველად, ფონდის აღმასრულებელი დირექტორის მოადგილესაც შეხვდნენ. ფონდის წარმომადგენლები „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ ელ-ფოსტით უპრობლემოდ აწვდიდნენ კვლევის წინასწარ შედეგებთან დაკავშირებულ წერილობით კომენტარებს, მათ შორის მკვლევართა გუნდის მიერ გამოვლენილი პრობლემების ძირითად კატეგორიებთან დაკავშირებულ განმარტებულს. ამასთან ერთად, ფონდი საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის განაცხადებზეც დროულად რეაგირებდა და „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ აწვდიდა ყველა მნიშვნელოვან დოკუმენტს, მათ შორის კონტრაქტებსა და შერჩეულ 22 კოლექტიურ ცენტრში ჩატარებული სარემონტო სამუშაოების დანახარჯების დეტალურ მონაცემებს, ასევე ტექნიკურ შეფასებებსა და აზომვით ნახაზებს. როგორც ზემოთაც აღინიშნა, „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ“ ასევე მიიღო დეფექტების გამოსწორების ოქმებისა და დევნილთა დამადასტურებელი ხელმოწერების ნიმუშები, რომელიც ფონდმა 2011 წლის აგვისტოში ელექტრონული სახით გამოგზავნა.

ამასთან ერთად, 2010 წლის დასაწყისიდან, „მუნიციპალური განვითარების ფონდი“ მის ვებ-გვერდზე რეგულარულად აქვეყნებს გარემონტებული კოლექტიური ცენტრების სრულ სიას, მრავალი ისეთი სასარგებლო დეტალის ჩათვლით, როგორიცაა სამშენებლო კომპანიების სახელწოდებები, კონტრაქტების ღირებულება, სარემონტო სამუშაოების განრიგი, გარემონტებული ბინების მისამართები და რაოდენობა. ეს მონაცემები ბევრად უფრო სრულია, ვიდრე ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მიერ „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოსათვის“ იმავე საკითხებთან დაკავშირებით მოწოდებული ინფორმაცია. „მუნიციპალური განვითარების ფონდი“ 2010 და 2011 წლებში მის ვებ-გვერდზე განთავსებულ ამ სიას ხშირად ანახლებდა (სიის განახლება მას შემდეგაც მოხდა, როცა „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ“ ფონდს ამ საკითხებზე მეტი ინფორმაციის მოწოდების თხოვნით არაოფიციალურად მიმართა).

კვლევის მეთოდი არ იყო მიმართული კოლექტიური ცენტრების იმგვარად შესარჩევად, რომ უზრუნველყოფილი ყოფილიყო შენობების წარმომადგენლობითი ნიმუშის შერჩევა და მკვლევართა გუნდის ასეთი მიდგომა არც კოლექტიურ ცენტრებში რესპონდენტთა შერჩევისას გამოუყენებია. ამის ნაცვლად, მკვლევარები ცდილობდნენ მოეცვათ სხვადასხვა ტიპის შენობები (დიდი და მცირე ზომის, ქალაქებში და სოფლებში მდებარე), ასევე სამშენებლო კომპანიებისა და სამუშაოებზე გაწეული დანახარჯების ოდენობის ფართო სპექტრი. ამის მიუხედავად, კვლევასა და მის მეთოდოლოგიას გარკვეული ხარვეზებიც ახლავს. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ“ ვერ შეძლო, დაექირავებინა ინჟინერ-ექსპერტი, რომელიც მონახულებული შენობების ტექნიკურ დათვალიერებასა და საკონტრაქტო დოკუმენტების ტექნიკურ შემოწმებას ჩაატარებდა, რაც განსაკუთრებით საინტერესო იქნებოდა დანახარჯებთან დაკავშირებული შეზღუდვების შესახებ მეტი ინფორმაციის მიღების თვალსაზრისით. სათანადო გამოცდილების მქონე ისეთი ინჟინრის შერჩევასთან დაკავშირებული პრობლემები, რომელსაც კვლევაში მონაწილეობის მისაღებად საჭირო დროც ექნებოდა, გამოწვეული იყო როგორც მკვლევართა გუნდის ტექნიკური ცოდნის ნაკლებობით, ისე კვალიფიციური და, ამავე დროს, თავისუფალი დროის მქონე ინჟინრების მოძებნის სირთულით.

ამასთან ერთად, დროის სიმცირის გამო, „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ“ ვერ შეძლო, შეხვედროდა ადგილობრივი მუნიციპალიტეტებისა და ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს რეგიონული ოფისების წარმომადგენლებს აჭარაში, იმერეთსა და სამეგრელოში, რათა გაეგო, რამდენად ჩართულები იყვნენ ისინი დევნილთა საცხოვრებლების რეაბილიტაციის პროცესში და რამდენად მჭიდრო კავშირი ჰქონდათ დევნილებთან.

პრობლემების ანალიზი

აჭარაში, იმერეთსა და სამეგრელოში 22 სხვადასხვა კოლექტიური ცენტრის მონახულებისას, „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“, სარემონტო სამუშაოების ხარისხისა და დევნილების კმაყოფილების დონის თვალსაზრისით, განსხვავებული სურათი დახვდა. მონახულებული კოლექტიური ცენტრებიდან 5 კარგ მდგომარეობაში იყო, რადგან მათში რაიმე მნიშვნელოვანი დეფექტი არ აღინიშნებოდა.¹⁹ მეტიც, მათში მცხოვრები დევნილები ზოგადად სამშენებლო კომპანიების მუშაობით კმაყოფილი იყვნენ.

ფოტო 1: ბათუმის საზღვაო აკადემიის შენობა



ფოტო 2: #2 სახლი ბანძაში



ცხრა შენობის მდგომარეობა მისაღები იყო,²⁰ მაგრამ მათ რიგი თვალსაჩინო დეფექტები აღენიშნებოდათ (მაგ. გაბზარული კედლები და ჭერი, ნესტი და ობი, მოუწესრიგებელი ელექტრო სადენები).

¹⁹ იმ 5 კოლექტიური ცენტრის სია, რომელიც საკმაოდ კარგ მდგომარეობაში იყო: ბათუმის საზღვაო აკადემიის შენობა (ხინიკაძის ქ. 4); ქუთაისის ყოფილი კოოპერაციული კოლეჯი (ნიკეას ქ. 12); ქუთაისის ყოფილი საბავშვო ბაღი (ბელორუსის ქ. 6); # 1 და 2 სახლები სოფელ ბანძაში (მარტვილის რაიონი); ახალსოფლის ყოფილი სკოლა–ინტერნატი (ზუგდიდის რაიონი).

²⁰ იმ 9 კოლექტიური ცენტრის სია, რომელშიც მისაღები მდგომარეობა იყო, მაგრამ რიგი აშკარა დეფექტები აღინიშნებოდა: ჩხევის ყოფილი #1 საშუალო სკოლა (წერეთლის ქ. 5); ბათუმის მექანიკური ქარხნის დამხმარე შენობა (ლეონიძის ქ. 15a); ქუთაისის ყოფილი საბავშვო ბაღი (ნიკეას ქ. 19); ქუთაისის რეზინის ქარხნის ყოფილი პროფილაქტორიუმის შენობა (ჭონქაძის ქ. 52); ხონის სამხედრო დასახლების #91 კორპუსი; ქ. მარტვილის ყოფილი სკოლის შენობა (მშვიდობის ქ. 114); ლესიჭინეს ყოფილი საბავშვო ბაღი (ჩხოროწყვეტის რაიონი); ქვედა ჩხოროწყვეტის #3 საბავშვო ბაღი (კვირკველიას ქუჩა); სოფელ ინგირის სკოლა–ინტერნატის #2 შენობა (ზუგდიდის რაიონი).

ფოტო 3: ქუთაისის პროფილაქტორიუმის შენობა



ფოტო 4: ოქტომბრის პროფსასწავლებლის შენობა



რვა შენობაში საკმაოდ ცუდი მდგომარეობა იყო²¹ და მნიშვნელოვანი პრობლემები აღინიშნებოდა (მაგ. ნესტი და ობი, სადრენაჟო და კანალიზაციის ინფრასტრუქტურის მოუწესრიგებლობა, სამშენებლო მასალებისა და სარემონტო სამუშაოების დაბალი ხარისხი და წყლის შეზღუდული რაოდენობით მიწოდება ან უწყლობა). მათში მცხოვრები დევნილები ამის გამო უკმაყოფილებას ღიად გამოთქვამდნენ.

ფოტო 5: ნოჯიხევის პროფსასწავლებელის #4 შენობა



ფოტო 6: სენაკის სკოლის შენობა



²¹ იმ 8 კოლექტიური ცენტრის სია, რომელშიც სარემონტო სამუშაოების დასრულების შემდეგ მნიშვნელოვანი პრობლემები გამოვლინდა: ბათუმის ყოფილი ნარკოლოგიური დისპანსერი (ხახულის ქ. 5); ბათუმის ყოფილი საბავშვო ბაღი (მელიქიშვილის ქუჩა, მე-3 შესახვევი, ბ. 21); სენაკის ყოფილი სკოლის შენობა (რუსთაველის ქ. 112); სენაკის სამხედრო დასახლების #210 კორპუსი; ნოჯიხევის ყოფილი პროფსასწავლებლის #4 შენობა (ხობის რაიონი); ქ. ჩხოროწყუს #3 სკოლა; სოფელ ინგირის პროფსასწავლებლის #1 და 2 შენობები (ზუგდიდის რაიონი); სოფელ ოქტომბრის პროფსასწავლებელი და მისი საერთო საცხოვრებელი (ზუგდიდის რაიონი).

დევნილთა საცხოვრებლების რეაბილიტაციის მინიმალური სტანდარტების²² მიხედვით, რომელიც ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრომ 2010 წელს მიიღო, ყველა ბინას უნდა ჰქონდეს საკუთარი სააბაზანო/საპირფარეშო, სამზარეულო, ორმაგი მინაპაკეტის ფანჯრები და შესაბამისი ელექტრო და გათბობის სისტემები. დევნილი ოჯახის თითოეულ რეგისტრირებულ წევრს, რომელიც კოლექტიურ ცენტრში ცხოვრობს, უნდა მიეცეს 15 კვ. მეტრი საცხოვრებელი ფართი (სააბაზანოს ფართის გარდა), ხოლო ოჯახის ყველა დამატებით წევრზე, როგორც მაგალითად მეუღლებზე, რომლებიც არ არიან დევნილები, 5–8 კვ. მეტრი დამატებითი ფართი უნდა გაიცეს. პრაქტიკაში, ეს იმას ნიშნავს, რომ ერთ ან ორწევრიანი ოჯახები ერთოთახიან ბინებს დებულობენ, სამ ან ოთხწევრიან ოჯახებს ოროთახიანი ბინები ეძლევათ, ხოლო ხუთ ან ექვსწევრიან ოჯახებზე სამოთახიანი ბინები გაიცემა.

ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს სტანდარტები 2010 წელს, მას შემდეგ იქნა მიღებული, რაც „მუნიციპალური განვითარების ფონდს“ დასავლეთ საქართველოში ბევრი სარეაბილიტაციო პროექტი უკვე დასრულებული ჰქონდა. შესაბამისად, ეს ახალი სტანდარტები უკუქმედების ძალით 2010 წლამდე დადებულ კონტრაქტებს არ ეხება. ფონდმა მხოლოდ იმ კონტრაქტებში შეიტანა ცვლილებები, რომელიც იმ დროისათვის მოქმედებდა, რათა მომდევნო პროექტებში სამინისტროს მიერ მიღებული რეაბილიტაციის სტანდარტების შესაბამისად განხორციელებულიყო.²³

საერთო ჯამში, „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ“, დასავლეთ საქართველოში მდებარე დევნილთა კოლექტიური ცენტრების რეაბილიტაციასთან დაკავშირებით, პრობლემათა 5 ძირითადი კატეგორია გამოავლინა:

1. მონახულებული კოლექტიური ცენტრებიდან 13 ობიექტი, სარემონტო სამუშაოების დასრულების შემდეგ მაღევე, ნესტან და ობთან დაკავშირებული სერიოზული პრობლემები შეიქმნა. ამ 13 ობიექტიდან 7 შენობის სარდაფში წყალი ჩადგა. ეს პრობლემები, როგორც ჩანს, ამ ობიექტებზე სადრენაჟო ინფრასტრუქტურის გაუმართაობითაა გამოწვეული.
2. დევნილების თქმით, სამშენებლო მასალები დაბალი ხარისხისა იყო და ბევრმა ოჯახმა მათ გამოსაცვლელად საკუთარი ფულადი სახსრები დახარჯა.
3. მონახულებული კოლექტიური ცენტრებიდან 13 შენობაში არსებობდა ონკანის წყლით მომარაგებასთან დაკავშირებული პრობლემები. ამ 13 შენობიდან 3 ობიექტს ონკანის წყალი საერთოდ არ მიეწოდებოდა. ამასთან ერთად, ბევრ შენობაში არსებობდა ნარჩენების გატანასთან დაკავშირებული პრობლემები.

²² დევნილთა საცხოვრებლების რეაბილიტაციის მინიმალური სტანდარტები „დევნილთა განსახლების სტრატეგიისა და სამუშაო გეგმის“ ნაწილია, რომელიც ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრომ 2010 წელს შეიმუშავა. ამ დოკუმენტის მთავარ მიზანს საქართველოში ყველა დევნილის (დევნილთა როგორც ძველი, ისე ახალი ნაკადის ჩათვლით) სტაბილური საცხოვრებლით უზრუნველყოფა და შესაბამისი სახელმწიფო სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესრულებისათვის ხელის შეწყობა წარმოადგენს, რომელიც, შესაბამისად, 2007 და 2008 წლებში იქნა მიღებული. მნიშვნელოვანია, რომ რეაბილიტაციის ეს სტანდარტები არ წარმოადგენს იმ კონტრაქტების ნაწილს, რომელსაც ხელს „მუნიციპალური განვითარების ფონდი“ სამშენებლო კომპანიებთან აფორმებს, თუმცა ის ძირითადად შეესაბამება სხვა დოკუმენტებში მოცემულ იმ სამშენებლო სტანდარტებს, რომელსაც ფონდი ეყრდნობა.

²³ მგელაძე, განმეორებითი ციტირება.

4. „მუნიციპალური განვითარების ფონდმა“ და სამშენებლო კომპანიებმა, 1-წლიანი პასუხისმგებლობის პერიოდის განმავლობაში, სარემონტო სამუშაოების დეფექტების ეფექტურად გამოსწორება ვერ მოახერხეს. მეტიც, ბევრმა დევნილმა, ვისაც „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ წარმომადგენლები გაესაუბრნენ, კომპანიების მიერ მოუგვარებლად დატოვებული პრობლემების გამოსასწორებლად დამატებითი სარემონტო სამუშაოები თავად ჩაატარა.
5. თითქმის ყველა დევნილი, რომელსაც „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ მკვლევარები გაესაუბრნენ, გამოთქვამდა შეწუხებას ბინების საკუთრებაში გადაცემის ვადებთან დაკავშირებით. ზოგი დევნილი ამბობდა, რომ სანამ მათ ამჟამინდელი საცხოვრებელი ფართები საკუთრებაში არ გადაეცემოდათ, მუდმივად ხელახალი განსახლების საფრთხის ქვეშ იქნებოდნენ. შესაბამისად, მათ სურთ, რომ ბინებში გრძელვადიანი ყოფნის გარანტიები რაც შეიძლება მალე მიიღონ.

დადებითი კუთხით, იმ დევნილთა უმეტესობა, რომლებსაც „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ მკვლევარები გაესაუბრნენ, ზოგადად, მათი ბინების რეაბილიტაციით კმაყოფილი იყო და ამბობდა, რომ ისინი ახლა უკეთ გამოიყურება და უფრო მყუდროა (წინა წლებში, ბევრ კოლექტიურ ცენტრში მცხოვრებ დევნილებს საერთო სააბაზანოებით სარგებლობა უხდებოდათ, ახლა კი ყველა ოჯახს საკუთარი სააბაზანო/საპირვარეშო აქვს).²⁴ ამასთან ერთად, ის დევნილები, რომლებიც ახლად გარემონტებულ ბინებში სხვა შენობებიდან განასახლეს, ზოგადად, ახალი საცხოვრებელი ფართების ზომით კმაყოფილი იყვნენ.

დევნილებმა „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ მკვლევარებს განუცხადეს, რომ ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო საკმაოდ აქტიურად ცდილობდა, დევნილებისათვის გარემონტებულ კოლექტიურ ცენტრებში განსახლების პროცესი გაეადვილებინა და, საცხოვრებელი ფართების განაწილებისას, მას ხშირად კონკრეტული ოჯახების სპეციფიური საჭიროებებიც გაუთვალისწინებია. ამასთან ერთად, სამინისტრო ბოლო პერიოდში დევნილებს დაპირდა, რომ ყველა გარემონტებული ბინის საკუთრების რეგისტრაციის პროცესს 2011 წლის ბოლოსათვის დაასრულებს,²⁵ რაც იძლევა პოზიტიურ სიგნალს, რომ ეს მწვავე პრობლემა მალე მოგვარდება.

საერთო ჯამში, „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მკვლევართა გუნდის მიერ მონახულებულ კოლექტიურ ცენტრებში არსებული მდგომარეობა შესაძლებელი იყო, ბევრად უკეთესი ყოფილიყო, განსაკუთრებით სარემონტო სამუშაოების შესრულების ხარისხის თვალსაზრისით.

ამის მიუხედავად, კოლექტიურ ცენტრებში საკმაოდ ბევრი დადებითი ცვლილებაც შეიმჩნევა. ყველა გარემოების გათვალისწინებით, სარემონტო სამუშაოებმა ოჯახებზე დადებითი ზეგავლენა მოახდინა, მაგრამ გრძელვადიანი სარგებლიანობის უზრუნველსაყოფად დამატებითი ნაბიჯების გადადგმა საჭირო. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ხელისუფლებამ

²⁴ მხოლოდ ერთმა ოჯახმა გამოთქვა უკმაყოფილება, რომ ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო, საცხოვრებელი ფართების განაწილებისას, დევნილთა სქესსა და პირად ცხოვრებასთან დაკავშირებულ საკითხებს ყურადღებას არ აქცევდა. ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ზრდასრულ და-ძმას ერთ ოთახში სძინავს.

²⁵ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ მე-2 არხი, „თავისუფალი ტრიბუნა“, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს წარმომადგენლები, 2011 წლის 14 ივნისი, <<http://www.2tv.ge/ViewVideo.aspx?VID=596>> (ნანახია 2011 წლის 29 აგვისტოს)

საკუთრების დავანონების მოთხოვნით წარდგენილი განცხადებების განხილვა არ უნდა გადაავადოს.

ზოგადი მონაცემები მონახულებულ კოლექტიურ ცენტრებში მცხოვრები დევნილების შესახებ

თითქმის ყველა დევნილი ოჯახი, რომელიც მონახულებულ 22 კოლექტიურ ცენტრში ცხოვრობს, აფხაზეთიდან არის და მათი უმეტესობა იქ მთავრობამ მუდმივად 1990-იანი წლების პირველი ნახევრის კონფლიქტების შემდეგ განასახლა.²⁶ იმ ოჯახების დაახლოებით 40 პროცენტი, რომლებსაც „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ მკვლევარები გარემონტებულ შენობებში შეხვდნენ, იმავე რეგიონის სხვა კოლექტიური ცენტრებიდან ან კერძო სექტორიდან იყო გადმოსული.²⁷ (25 პროცენტი კოლექტიური ცენტრებიდან გადმოვიდა, 15 პროცენტი კი – კერძო სექტორიდან.) ის ოჯახები, რომლებიც შენობების რეაბილიტაციამდე კერძო სექტორში ცხოვრობდნენ, ჯერ მათ ახალ ბინებში რეგისტრირებული არ არიან.

აჭარაში საინტერესო დინამიკა შეიძლება შეიმჩნეოდა. ბათუმსა და ჩაქვში მონახულებული ხუთივე კოლექტიური ცენტრი მანამდე „უქმად ყოფელ“ (ცარიელ) შენობებს წარმოადგენდა, რომელიც გარემონტდა და აჭარის რეგიონის დევნილებისათვის ხელმისაწვდომი გახდა. ამ დევნილთა უმრავლესობა გადატვირთული ან ისეთი კოლექტიური ცენტრებიდან გადმოვიდა, რომელიც კერძო ინვესტორებს მიჰყიდეს და დევნილებისგან დაცალეს.²⁸

ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს ცენტრალური და რეგიონული ოფისები, შესაბამისი განაცხადების მიღების შემდეგ, დევნილებს ხელს უწყობდნენ კერძო სექტორიდან ან სხვა კოლექტიური ცენტრებიდან დასავლეთ საქართველოში მდებარე ახლად გარემონტებულ შენობებში განსახლებაში. ახალი ბინების დევნილებისთვის განაწილებისას, სამინისტრო რიგ შემთხვევაში ზოგი ოჯახის სპეციფიურ საჭიროებებსაც ითვალისწინებდა. მაგალითად, ახალსოფლის ყოფილ სკოლა-ინტერნატში მცხოვრებმა დევნილმა ოჯახმა „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ მკვლევარებს განუცხადა, რომ სამინისტრომ მათ დახმარება გაუწია თბილისში მდებარე სხვა კოლექტიური ცენტრიდან გადასახლებაში. ამ ოჯახს დედაქალაქიდან გადასვლა იმიტომ უნდოდა, რომ ზუგდიდში მცხოვრებ ნათესავებთან ახლოს

²⁶ „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ მიერ ჩატარებულ ინტერვიუებში, დევნილებმა მხოლოდ ერთი შემთხვევა დაასახელეს, როდესაც 1990-იანი წლების პირველი ნახევრის სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის შედეგად ადგილნაცვალი ორი ოჯახი, ქუთაისის რეზინის ქარხნის ყოფილი პროფილაქტორიუმის შენობაში (ჭონქაძის ქ. 52), აფხაზეთის დევნილებთან ერთად ცხოვრობდა. დევნილებმა „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ განუცხადეს, რომ აღნიშნულ ოჯახებს განსახლებაში ქუთაისის მერია დაეხმარა.

²⁷ „კერძო სექტორის“ დევნილებში იგულისხმება ის ოჯახები, რომლებიც ნაქირავებ ბინებში ან ფართებში ცხოვრობენ. „დანიის ლტოლვილთა საბჭოს“ 2010 წლის ანგარიშის მიხედვით, კერძო სექტორის დევნილები ხშირად ისეთსავე ცუდ ან უარეს პირობებში ცხოვრობდნენ, როგორც კოლექტიურ ცენტრებში განსახლებული ადგილნაცვალი პირები – „დანიის ლტოლვილთა საბჭო“, „ანგარიში სამეცნიელოს რეგიონის კერძო სექტორში განსახლებული დევნილების გამოკითხვის შესახებ: კერძო სექტორში არსებული საბინაო პირობებისა და სტაბილური საცხოვრებლით უზრუნველყოფის პროცესის ანალიზი“, ზუგდიდი, 2010 წლის ივნისი.

²⁸ მაგალითად, იმ დევნილი ოჯახების უმეტესობა, რომლებიც ამჟამად ბათუმის ყოფილ საბავშვო ბაღში (მელიქიშვილის ქუჩა, მე-3 შესახვევი, ბ. 21) ცხოვრობენ (რომელიც სარემონტო სამუშაოების ჩატარებამდე ცარიელ კარკასს წარმოადგინდა), ბათუმის მასწავლებლთა სახლიდან გადმოვიდა, რომელიც ახლად აშენებული სასატუმრო „რადისონის“ ადგილას მდებარეობდა.

დასახლებულიყო.²⁹ კიდევ ერთ ოჯახს, რომელიც მანამდე ზუგდიდში, კერძო სექტორში ცხოვრობდა, ახალსოფლის კოლექტიურ ცენტრში ახალი ბინა მას შემდეგ გადაეცა, რაც მათ სამინისტროს ახლად გარემონტებულ შენობაში განსახლების თხოვნით მიმართეს.

სარემონტო სამუშაოებთან დაკავშირებული ძირითადი პრობლემები

როგორც ზემოთ აღინიშნა, კოლექტიურ ცენტრებში როგორც მარტში, ისე მაისში განხორციელებული ვიზიტების განმავლობაში, „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ გუნდმა გამოავლინა პრობლემათა 5 ძირითადი კატეგორია, რომელიც მთელ რიგ კოლექტიურ ცენტრებში, განსაკუთრებით სამეგრელოში, ჩატარებული სარემონტო სამუშაოების დაბალ ხარისხს უკავშირდებოდა. ამ შენობებში მცხოვრები დევნილი ოჯახები ღიად გამოთქვამდნენ უკავშირდებას მათ ბინებში ჩატარებული სარემონტო სამუშაოების ხარისხის შესახებ და სამშენებლო კომპანიებისგან და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებისგან არსებული დეფექტების გამოსწორების კუთხით მეტ ყურადღებას მოითხოვდნენ. მომდევნო ქვეთავებში მოცემულია სარემონტო სამუშაოებთან დაკავშირებულ პრობლემათა თითოეული ამ კატეგორიის ანალიზი, რომელიც „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ მკვლევართა გუნდმა ჩაატარა. მათში ასევე სათანადოდ არის წარმოჩენილი ამ პროცესის პოზიტიური ასპექტები.

1. ნესტი და ობი – სადრენაჟო ინფრასტრუქტურის მოუწესრიგებლობა

აჭარის, იმერეთისა და სამეგრელოს 22 კოლექტიური ცენტრიდან თითქმის ყველა შენობაში ნესტი და ობი ფიქსირდებოდა, მათ შორის 13 შენობაში – მძიმე ფორმით.³⁰ შესაბამისად, ეს წარმოადგენს ერთ–ერთ ძირითად სტრუქტურულ პრობლემას, რომლის მოგვარებაც, როგორც ჩანს, შესაძლებელია. „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ“ დაადგინა, რომ ზოგ შენობაში გადამეტებული ნესტის ხანგრძლივად არსებობამ შეიძლება, მიკრობების, მაგალითად, ობის, გამრავლება გამოიწვიოს, რამაც, თავის მხრივ, შესაძლოა, მობინადრეებზე ნეგატიური ზეგავლენა მოახდინოს. მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის 2009 წლის ანგარიშის მიხედვით, ამ პრობლემამ შეიძლება გაზარდოს ისეთი დაავადებებისადმი მიდრეკილება, როგორებიცაა ასთმა, რესპირატორული სიმპტომები და ალერგიები.³¹

²⁹ ზემოხსენებულის გარდა, „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ“ დევნილი ოჯახის თბილისიდან გადასახლების მხოლოდ ერთი შემთხვევა დააფიქსირა. ამ შემთხვევაში, დევნილი ოჯახის თბილისიდან ქუთაისში საცხოვრებლად გადასვლა თავდაპირველი განსახლების ადგილზე საცხოვრებელი ფართის ნაკლებობით იყო მოტივირებული.

³⁰ იმ 13 შენობის სია, რომელშიც ნესტან და ობთან დაკავშირებული მძიმე პრობლემები გამოვლინდა: აჭარა – ბათუმის ყოფილი საბავშვო ბაღი (მელიქიშვილის ქუჩა, მე-3 შესახვევი, ბ. 21); ბათუმის ყოფილი ნარკოლოგიური დისპანსერი (ხახულის ქ. 5); იმერეთი – ქუთაისის ყოფილი საბავშვო ბაღი (ნიკეას ქ. 19); ქუთაისის რეზიდის ქარხნის ყოფილი პროფილაქტორიუმის შენობა (ჭონქაძის ქ. 52); ხონის სამხედრო დასახლების #91 კორპუსი; სამეგრელო – ქ. მარტვილის ყოფილი სკოლის შენობა (მშვიდობის ქ. 114); სენაკის ყოფილი სკოლის შენობა (რუსთაველის ქ. 112); სენაკის სამხედრო დასახლების #210 კორპუსი; ნოჯიხევის ყოფილი პროფსასწავლებლის #4 შენობა (ხობის რაიონი); ქ. ჩხოროწყუს #3 სკოლა; სოფელ ინგირის ყოფილი პროფსასწავლებლის #1 შენობა (ზუგდიდის რაიონი); სოფელ ინგირის სკოლა–ინტერნატის #2 შენობა (ზუგდიდის რაიონი); სოფელ ოქტომბრის პროფსასწავლებლი (ზუგდიდის რაიონი).

³¹ მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია, „მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის რეკომენდაციები შენობებში ჰაერის ხარისხის შესახებ: ნესტი და ობი“, 2009,

<http://www.euro.who.int/_data/assets/pdf_file/0017/43325/E92645.pdf> (ნანახია 2011 წლის 29 აგვისტოს)

ამის მიუხედავად, კვლავ გაურკვეველია, რამდენად შესაძლებელია დასავლეთ საქართველოში ძველი შენობების გარემონტებით ობის პრობლემის მოგვარება და მასთან დაკავშირებული დაავადებების რისკების აღმოფხვრა. ნესტიანი კლიმატი დასავლეთ საქართველოს დამახასიათებელი ნიშანია. ამ რეგიონში შენობების ზერელე დაკვირვებითაც მაშინვე ჩანს, რომ საცხოვრებელი კორპუსებისა და კერძო სახლების უმეტესობას ერთ ან რამდენიმე მხარეს თუნუქის საფარი აქვს მიკრული, რათა გამუდმებულმა წვიმებმა ბეტონში არ გაატანოს.

მაგალითად, სენაკის სამხედრო დასახლებაში მცხოვრებ დევნილებს ობიექტზე მომუშავე სამშენებლო კომპანიების წარმომადგენლებმა განუცხადეს, რომ ნესტი და ობი შეიძლებოდა მაღალი ტენიანობით ყოფილიყო გამოწვეული, რაც ამ კონკრეტული რეგიონის დამახასიათებელი ნიშანია, და აღნიშნეს, რომ კომპანიებს მათი წარმოქმნის თავიდან ასაცილებლად ბევრი არაფრის გაკეთება არ შეეძლოთ. ამის მიუხედავად, სენაკსა და სხვა პრობლემურ ადგილებში კოლექტიური ცენტრების გვერდებსა და სახურავებზე თუნუქის საფარისა და საწვიმარი ლარების სათანადოდ დამონტაჟებით ამ პრობლემის დიდწილად გადაჭრა მაინც შესაძლებელია. „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ“ მხოლოდ ერთი კოლექტიური ცენტრის შენობა აღმოაჩინა ბათუმში (მექანიკური ქარხნის დამხმარე შენობა, ლეონიძის ქ. 15), რომლის გვერდებზე თუნუქის საფარი იყო მიმაგრებული. აღსანიშნავია, რომ ამ ტიპის სამუშაოს შესრულება ამ კონკრეტული შენობის რეაბილიტაციის კონტრაქტშიც იყო გათვალისწინებული. თუმცა, „მუნიციპალური განვითარების ფონდის“ წარმომადგენლები განმარტავენ, რომ მართალია, თუნუქის საფარმა შეიძლება წვიმის წყლით გაუღენთისგან დაიცვას, მაგრამ ის ნაგებობას ტენის კონდენსაციისა და დაორთქვლისგან მაინც ვერ დაიცავს, რაც მთელ შენობაში, თბილი, ნესტიანი ჰაერის გამო, ბეტონის იატაკზე ნესტის წარმოქმნას გულისხმობს.³²

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის ზემოხსენებული ანგარიშის მიხედვით, ტემპერატურის კონტროლი და უფრო ეფექტური ვენტილაცია შეიძლება შენობებში ზედმეტი ტენიანობისა და ობის მიკრობების გამრავლების თავიდან ასაცილებლად ქმედითი ალტერნატიული საშუალება აღმოჩნდეს.³³ ეს მოსაზრება „მუნიციპალური განვითარების ფონდის“ ექსპერტებმაც გაიზიარეს, თუმცა მათ ასევე განმარტეს, რომ ფონდის სარეაბილიტაციო პროექტები დევნილთა კოლექტიურ ცენტრებში სპეციალური ნესტის საწინააღმდეგო ზომების გატარებას არ ითვალისწინებდა და ამ საკითხის გადაჭრა სარეაბილიტაციო სამუშაოების მეორე ეტაპის შემდეგ იქნებოდა შესაძლებელი.³⁴ აღსანიშნავია, რომ ფონდმა გარკვეული სავენტილაციო სამუშაოების ხარჯები სამეცნიეროში მკვლევართა გუნდის მიერ მონახულებულ მხოლოდ 6 შენობაში³⁵ გაითვალისწინა და ამ ხარჯების მთლიანი ოდენობა მხოლოდ 2,201 ლარს შეადგენდა.³⁶ ეს თანხა ნესტისა და ობის პრობლემის ამ ობიექტებზე მოსაგვარებლადაც არ აღმოჩნდა საკმარისი.

³² მგელაძე და ჭარაქაშვილი, განმეორებითი ციტირება.

³³ მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია, „ნესტი და ობი“, განმეორებითი ციტირება.

³⁴ მგელაძე და ჭარაქაშვილი, განმეორებითი ციტირება.

³⁵ ეს 6 შენობაა: ქ. ჩხოროწყუს #3 სკოლა; ქედა ჩხოროწყუს ყოფილი #3 საბავშვო ბაღი (კვირკველიას ქუჩა); ლესიჭინეს ყოფილი საბავშვო ბაღის შენობა (ჩხოროწყუს რაიონი); ნოჯიხევის ყოფილი პროფსასწავლებლის #4 შენობა (ზობის რაიონი); ქ. მარტვილის ყოფილი სკოლის შენობა (მშვიდობის ქ. 114); # 1 და 2 სახლები სოფელ ბანძაში (მარტვილის რაიონი).

³⁶ ლესიჭინეს (ჩხოროწყუს რაიონი) ყოფილი საბავშვო ბაღის შენობაში მცხოვრებმა ერთ–ერთმა დევნილმა ოჯახმა „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ მკვლევარებს განუცხადა, რომ სამშენებლო კომპანიებმა შენობაში სავენტილაციო მიღები არ დაამონტაჟეს, მიუხედავად იმისა, რომ, კონტრაქტის მიხედვით, მათ ეს უვალებოდათ (ამ სამუშაოსთვის 144 ლარი იყო გამოყოფილი).

კიდევ ერთი მსგავსი პრობლემა, რომელიც ახლად გარემონტებულ შენობებში, განსაკუთრებით სამეგრელოსა და აჭარაში, აღინიშნება, გამდინარე წყლების მართვის სისტემების, კერძოდ, სადრენაჟო და საკანალიზაციო ინფრასტრუქტურის, დაბალ ხარისხს უკავშირდება. შენობების უმეტესობის სახურავებსა და სააბაზანოებში წყალი კვლავ უონავს, რაც შენობების ინტერიერში ობისა და ნესტის სწრაფ გავრცელებას იწვევს. ბევრი დევნილი, ვისაც „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ მკვლევართა გუნდი გაესაუბრა, ჩიოდა, რომ შენობების სახურავები ექსტერიერს ვერ ფარავს და საწვიმარი ღარებიც ხშირად დაზიანებულია. შესაბამისად, წვიმის დროს, წყალი კედლების ჩამორეცხვასა და ფორმვანი ბეტონის შენობის გაუღენთას იწვევს. აღსანიშნავია, რომ მონახულებულ 4 ობიექტში, საწვიმარი ღარები საერთოდ არ იყო დამონტაჟებული.³⁷ ეს პრობლემა კიდევ უფრო მძიმედ იგრძნობოდა 7 შენობის სარდაფში, რომელიც წყლითა და ნარჩენებით იყო სავსე, რაც დევნილებს ჰიგიენასთან დაკავშირებულ სერიოზულ პრობლემებს უქმნიდა (მაგ. არასასიამოვნო სუნი, ნესტი და ბაქტერიების გამრავლებისთვის ხელსაყრელი გარემო), განსაკუთრებით ზაფხულის პერიოდში.³⁸

ფოტო 7: სენაკის სამხედრო დასახლების
#210 კორპუსის სარდაფი



ფოტო 8: ჩხოროწყუს #3 სკოლის სარდაფი



„მუნიციპალური განვითარების ფონდის“ წარმომადგენლებმა „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ მკვლევარებს განუცხადეს, რომ ზოგი კოლექტიური ცენტრის სარდაფში წყლის არსებობა შეიძლება გამოწვეული იყოს როგორც დასავლეთ საქართველოში გრუნტის წყლების მაღალი დონით, ისე ზედაპირის/წვიმის წყლის სადრენაჟო მოწყობილობის არასათანადო ხარისხით. თუმცა, მათ ასევე აღნიშნეს, რომ პრობლემის მოგვარება შესაძლებელია ძვირადღირებული სადრენაჟო და წვიმის წყლის სისტემების დამონტაჟებით, რაც, როგორც

³⁷ მაგალითად, ქუთაისის რეზინის ქარხნის ყოფილი პროფილაქტორიუმის შენობაში (ჭონქაძის ქ. 52), ჩაქვის ყოფილი #1 საშუალო სკოლის „ა“ კორპუსში (წერეთლის ქ. 5), სენაკის სამხედრო დასახლების #210 კორპუსსა და სოფელ ინგირის სკოლა–ინტერნატის #2 შენობაში (ზუგდიდის რაიონი) შენობების გვერდებსა და სახურავებზე საწვიმარი ღარები დამონტაჟებული არ იყო.

³⁸ შემდეგ 7 შენობაში სარდაფები უკიდურესად ცუდ მდგომარეობაში იყო: ბათუმის ყოფილი ნარკოლოგიური დისპანსერი (ხახულის ქ. 5); ბათუმის ყოფილი საბავშვო ბაღი (მელიქიშვილის ქუჩა, მე-3 შესახვევი, ბ. 21); ქ. ჩხოროწყუს #3 სკოლა; ნოჯიხევის ყოფილი პროფსასწავლებლის #4 შენობა (ზობის რაიონი); სოფელ ინგირის სკოლა–ინტერნატის #2 შენობა (ზუგდიდის რაიონი); ლესიჭინეს ყოფილი საბავშვო ბაღი (ჩხოროწყუს რაიონი); სენაკის სამხედრო დასახლების #210 კორპუსი. როგორც ჩხოროწყუს #3 სკოლის შენობაში მცხოვრებმა დევნილმა ოჯახებმა განაცხადეს, ზაფხულში მათი სარდაფიდან ხშირად გველები და სხვა ქვეწარმავლები ამოდიან.

ზემოთ აღინიშნა, ფონდის პროექტებში გათვალისწინებული არ ყოფილა.³⁹ ამ მოსაზრებებს იზიარებდნენ ქუთაისა და ზუგდიდში მომუშავე ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციებიც, რომლებსაც „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ მკვლევარები კვლევის წინასწარი შედეგების წარსადგენად 5 და 6 ივლისს შეხვდნენ. ამის მიუხედავად, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა ისიც აღნიშნეს, რომ სარემონტო სამუშაოების დაწყებამდე თითოეული შენობის დეტალური შეფასებისა და თავად სარემონტო სამუშაოების ხარისხიანად შესრულების შემთხვევაში, პრობლემური კოლექტიური ცენტრების ინტერიერში წყლის გაჟონვის პრობლემა შესაძლოა, თავიდან ყოფილიყო აცილებული.⁴⁰ „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ წინა ანგარიშში, რომელიც დევნილთა ახალი ნაკადისთვის აშენებულ კოტეჯური ტიპის დასახლებებს ეხებოდა, აღწერილი იყო ის სამშენებლო მეთოდები და ტექნოლოგიები, რომლის გამოყენება წყლის ინტერიერში შეღწევის თავიდან აცილების საშუალებას იძლევა: „ერთ–ერთი მეთოდი, რომელიც საქართველოში ხმირად გამოიყენება, [...] გულისხმობს ბეტონის ბლოკებით ძალზე სქელი, 50 სანტიმეტრიდან 1 მეტრამდე სისქის, კედლის აშენებას. ნესტი ბლოკებში აღწევს, მაგრამ კედლის სისქე მას შენობის შიგნით შეღწევის საშუალებას არ აძლევს“.⁴¹ როგორც „მუნიციპალური განვითარების ფონდის“ წარმომადგენლებმა განმარტეს, კედლების გასქელება შეიძლება განხილულ იქნეს შესაძლო ვარიანტად ახალი შენობების, მაგრამ არა ძველი ნაგებობების, შემთხვევაში, რადგან ძველი შენობების საძირკვლისა და სხვა კომპონენტების მზიდუნარიანობის გაზრდა ძვირადღირებული სამუშაოების ჩატარებას მოითხოვს.⁴² ამის მიუხედავად, შესაძლოა არსებობდეს უფრო იაფი მეთოდებიც, როგორიცაა კედლებზე გარედან ამინდის ზემოქმედებისგან დამცავი საფარის დამაგრება (რომელიც კონცეპტუალურად დასავლეთ საქართველოს დიდ ნაწილში ფართოდ გავრცელებულ თუნექის საფარს წააგავს) ან კედლის აშენება შუაში ცარიელი სივრცით.⁴³

სადრენაჟო სისტემების მსგავსად, „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ გუნდის მიერ მონახულებულ ზოგიერთ კოლექტიურ ცენტრში კანალიზაციის ინფრასტრუქტურაც მოუწესრიგებელი იყო. მაგალითად, მკვლევართა გუნდმა აჭარასა და სამეგრელოში მდებარე ორი შენობის ეზოში ღია საკანალიზაციო ჭები აღმოაჩინა.⁴⁴

³⁹ მგელაძე, განმეორებითი ციტირება.

⁴⁰ „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ პრეზენტაციები ქუთაისა და ზუგდიდში, 5–6 ივლისი, 2011.

⁴¹ „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“, „კოტეჯური ტიპის დასახლებები ახალი დევნილებისთვის საქართველოში“, განმეორებითი ციტირება.

⁴² მგელაძე და ჭარაქეშვილი, განმეორებითი ციტირება.

⁴³ „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“, „კოტეჯური ტიპის დასახლებები ახალი დევნილებისთვის საქართველოში“, განმეორებითი ციტირება.

⁴⁴ ბათუმის ყოფილი ნარკოლოგიური დისპანსერის (ხახულის ქ. 5) ეზოში, პირველ სართულზე მდებარე ერთ–ერთი ბინის ფანჯრების წინ, ღია საკანალიზაციო ჭა მდებარეობს, ხოლო სოფელ ინგირის პროფსასწავლებლის შენობების მიმდებარე ტერიტორიაზე, დაზიანებული საკანალიზაციო ჭის ირგვლივ, ჭუჭყანი წყლის დიდი გუბე დგას.

ფოტო 9: ბათუმის ნარკოლოგიური დისპანსერის შენობის მიმდებარე ტერიტორია



ფოტო 10: ინგირის პროფსასწავლებლის შენობის მიმდებარე ტერიტორია



ამასთან ერთად, ზუგდიდში მომუშავე ადგილობრივმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ მკვლევარებს განუცხადეს, რომ ღია საკანალიზაციო ჭებისა და დაზიანებული საკანალიზაციო მიღების პრობლემა სამეგრელოში ბევრ გარემონტებულ კოლექტიურ ცენტრში არსებობს.⁴⁵ „მუნიციპალური განვითარების ფონდსა“ და სამშენებლო კომპანიებს შორის დადებული კონტრაქტების მიხედვით, 2009 წელს, „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ მკვლევარების მიერ სამეგრელოში მონახულებულ 12 კოლექტიურ ცენტრში შიდა და გარე საკანალიზაციო სისტემების შესაკეთებლად დაახლოებით 270,000 ლარი დაიხარჯა. გარდა ამისა, ბათუმის ერთ-ერთი ობიექტის გარე საკანალიზაციო სისტემის მოსაწესრიგებლად დაახლოებით 17,000 ლარი იქნა გამოყოფილ.⁴⁶ თუმცა, მოუწესრიგებელი საკანალიზაციო ინფრასტრუქტურა აჭარის კიდევ 2 კოლექტიურ ცენტრშიც სერიოზულ პრობლემას წარმოადგენდა.⁴⁷

„მუნიციპალური განვითარების ფონდმა“ 2009 წლის ბოლოსა და 2010 წლის განმავლობაში სამეგრელოსა და აჭარის 22 სხვადასხვა კოლექტიურ ცენტრში (21 სამეგრელოში და 1 აჭარაში) კანალიზაციის, სადრენაჟო სისტემებისა და წყალმომარაგების მოსაწესრიგებლად დამატებით 2.5 მილიონი ლარი დახარჯა, მათ შორის იმ ობიექტებზეც, რომელიც „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ მკვლევართა გუნდს არ მოუნახულებია. „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ“ ვერ შეძლო დაედგინა, დაიხარჯა თუ არა ამ ფულის ნაწილი მკვლევართა გუნდის მიერ მონახულებული შენობების საკანალიზაციო და სადრენაჟო სისტემების შესაკეთებლად, და თუ დაიხარჯა, რამდენი. ნებისმიერ შემთხვევაში, იმ შენობებში, რომელიც მკვლევართა გუნდმა მოინახულა, ამ პრობლემის მოსაგვარებლად გაღებული მნიშვნელოვანი ძალისხმეული კვალი არ ჩანს. აშკარაა, რომ საბჭოთა დროის ძველ ინფრასტრუქტურას წლების განმავლობაში რაიმე ძირეული განახლება არ განუცდია და საჭიროა მისი ახალი კომპონენტებით შეცვლა.

⁴⁵ „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ პრეზენტაცია ზუგდიდში, 6 ივლისი, 2011

⁴⁶ ეს ობიექტია ბათუმის მექანიკური ქარხნის დამზარე შენობა (ლეონიძის ქ. 15ა).

⁴⁷ ესენია ბათუმის ყოფილი ნარკოლოგიური დისპანსერი (ხახულის ქ. 5) და ყოფილი საბავშვო ბაღი (მელიქიშვილის ქუჩა, მე-3 შესახვევი, ბ. 21).

სამეგრელოში არსებული კოლექტიური ცენტრების უმრავლესობა, სადაც გამდინარე წყლების მართვის პრობლემა განსაკუთრებით მწვავედ დგას, სოფლის ტიპის დასახლებებში მდებარეობს, რომელიც ქალაქის ინფრასტრუქტურის მთავარ სადრენაჟო/საკანალიზაციო მიღებთან დაკავშირებული არ არის. შესაბამისად, ეს შენობები ნარჩენების შიგნიდან გარეთ გამოსატანად სპეციალურ სისტემას საჭიროებს. აღსანიშნავია, რომ საქართველოს ქალაქებიდან ძალზე ცოტას აქვს მთელი ქალაქის მასშტაბით არსებული სადრენაჟო და საკანალიზაციო ინფრასტრუქტურა (ამ ინფრასტრუქტურის შექმნა საკმაოდ ძვირი ჯდება). მსოფლიო ბანკის პროგრამა (რომელსაც ასევე „მუნიციპალური განვითარების ფონდ“ უწევს ზედამხედველობას), რომელიც 2008 წლის ოქტომბრიდან 2013 წლის ივნისამდე ხორციელდება და საქართველოს რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარებას ისახავს მიზნად, შეიცავს კომპონენტს, რომელიც წყლალმომარაგებისა და საკანალიზაციო სისტემების მოწესრიგებასა და წყალდიდობებისაგან დამცავი სისტემების მონტაჟს ითვალისწინებს და, გათვლების მიხედვით, მისი განხორციელება პროექტის საერთო ღირებულების (65.4 მილიონი ა.შ.შ. დოლარი) 50 პროცენტს (32.7 მილიონი ა.შ.შ. დოლარი) საჭიროებს.⁴⁸

ექსპერტებთან კონსულტაციებსა და სამაგიდო კვლევაზე დაყრდნობით, „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ“ დაადგინა, რომ სოფლის ტიპის დასახლებებისთვის კანალიზაციისა და გამდინარი წყლების დამუშავების რიგი საშუალებები არსებობს. ამ საშუალებებიდან, სეპტიკური ავზები⁴⁹ და ფრენჩის სადრენაჟო სისტემები⁵⁰ დასავლეთ საქართველოში მდებარე დევნილთა საცხოვრებლებში გამდინარე წყლების მართვისათვის საკმაოდ შესაფერისი ჩანს. ამის მიუხედავად, ასეთი სისტემების დამონტაჟება და მათი აუცილებელი ტექნიკური მომსახურება დიდ საცხოვრებელ კორპუსებში (მაგ. სენაკის სამხედრო დასახლება) ბევრ დანახარჯს მოითხოვს და გაურკვეველია, კოლექტიური ცენტრების შემთხვევაში შესაძლებელი იქნება თუ არა ან როგორ მოხდება აღნიშნული მომსახურება. „მუნიციპალური განვითარების ფონდის“ წარმომადგენლებმა „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ განუცხადეს, რომ ისეთ ობიექტებზე, სადაც გრუნტის წყლები მიწის ზედაპირთან ახლოს არის, ნარჩენი დამაბინძურებელი ნივთიერებების/გამდინარე წყლების მიწაში

⁴⁸ მსოფლიო ბანკი, „რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტი“, პროექტი ერთი შექედვით,

<<http://web.worldbank.org/external/projects/main?pagePK=64283627&piPK=73230&theSitePK=40941&menuPK=228424&Projectid=P110126>> (ნანახია 2011 წლის 29 აგვისტოს)

⁴⁹ ტიპიური სეპტიკური სისტემა 4 მთავარი კომპონენტისგან შედგება: შენობიდან გამომავალი მილი, სეპტიკური ავზი, ფილტრაციის მინდორი და ნიადაგი, რომელშიც ანაერობული ბაქტერიები შენობიდან გარეთ მდებარე ავზში გამომავალი ნარჩენი დამაბინძურებელი ნივთიერებების უმეტესობას მანამდე შლის ან მინერალებად აქცევს, სანამ ისინი გრუნტის წყლებამდე მიაღწევს. დამატებითი ინფორმაციისთვის, იხილეთ: ა.შ.შ.-ის გარემოს დაცვის სააგენტო (EPA), „კერძო სახლის მესაკუთრეთა გზამკვლევი სეპტიკური სისტემების შესახებ“, შემუშავებულია 2005 წელს:

<http://www.epa.gov/owm/septic/pubs/homeowner_guide_long.pdf> (ნანახია 2011 წლის 29 აგვისტოს)

⁵⁰ ფრენჩის დრენაჟი, რომელსაც ეს სახელი ჰქონის ფრენჩის საპატივცემულოდ ეწოდა, შეიძლება გამოყენებულ იქნეს, როგორც სარეზერვო სისტემა სეპტიკური ავზიდან წყლის გადასაქაჩად და დრენაჟირებისათვის, მისი კედლების შესანარჩუნებლად. სისტემის ფუნქციონირებისათვის, აუცილებელია არსებობდეს ქვებით ან ხრეშით მოფენილი გარე არხი, რათა, შენობის საძირკველის დასაცავად, წყალს მიმართულება კონკრეტული ადგილიდან უსაფრთხოდ შეეცვალოს. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ: ქან ჰუბერი, „ფრენჩის დრენაჟები: როცა ისინი გჭირდებათ“, „ჰაუსლოჯიკი“, 2009 წლის 23 სექტემბერი,

<<http://www.houselogic.com/articles/french-drains-when-you-need-them/>> (ნანახია 2011 წლის 29 აგვისტოს)

დორენაჟირება რთულია, რადგან ის მიმდებარე ტერიტორიის დატბორვას იწვევს (როგორც მაგ. ბათუმის ნარკოლოგიურ დისპანსერსა და ინგირის პროფსასწავლებელში მოხდა).⁵¹

ამასთან ერთად, „მუნიციპალური განვითარების ფონდის“ წარმომადგენლების თქმით, კოლექტიურ ცენტრებში არსებული მოძველებული საკანალიზაციო და სადრენაჟო ინფრასტრუქტურის (მაგ. ძველი დაზიანებული მილების) ახალი კომპონენტებით სრულად შეცვლა საკმაოდ დიდ დანახარჯს უკავშირდება. მაგალითად, ფონდის ექსპერტებმა შეაფასეს რეგიონებში მდებარე იმ კოლექტიური ცენტრების სტრუქტურული სიმყარე, რომლის რეაბილიტაცია მაღლე USAID-ის დაფინანსებით უნდა მოხდეს, და მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ ზოგ შემთხვევაში, ძველი შენობის რეაბილიტაცია უფრო ბევრ დანახარჯს უკავშირდება, ვიდრე ახლის აშენება. შესაბამისად, ის კოლექტიური ცენტრები, რომლის რეაბილიტაციაც მეტისმეტად დიდი ხარჯების გაღებას მოითხოვს, სარეაბილიტაციო ობიექტების სიაში აღარ შეიტანეს.⁵²

ამის მიუხედავად, კარგად დაგეგმილი სარეაბილიტაციო პროექტების განხორციელების შემთხვევაში, რომელშიც გათვალისწინებული იქნებოდა თითოეული კოლექტიური ცენტრის სპეციფიკა, ზომისა და მდებარეობის მიხედვით, ნესტან და გამდინარე წყლების მართვასთან დაკავშირებული პრობლემები დიდწილად თავიდან იქნებოდა აცილებული. ამ საკითხში ევროკავშირს, რომელიც ამ პროექტების მთავარი დონორია, მეტი სიფრთხილე უნდა გამოეჩინა და „მუნიციპალური განვითარების ფონდისთვის“ დევნილთა საცხოვრებლების რეაბილიტაციასთან დაკავშირებით უფრო კონკრეტული რეკომენდაციები მიეწოდებინა.

2. სამშენებლო მასალებისა და სარემონტო სამუშაოების შესრულების დაბალი ხარისხი

იმ კოლექტიური ცენტრების უმეტესობაში, რომელიც „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ მკვლევართა გუნდმა მოინახულა, ზემოთ ჩამოთვლილ პრობლემებთან ერთად, არსებობს მრავალი სახის დეფექტი, რომელიც ან სარემონტო სამუშაოების დასრულების შემდეგ გამოვლინდა ან ჯერ კიდევ მათ დასრულებამდე.⁵³ დევნილთა თქმით და მკვლევართა გუნდის დაკვირვებით, ეს დეფექტები ძირითადად სამშენებლო მასალებისა და თვითონ სარემონტო სამუშაოების შესრულების დაბალი ხარისხით არის გამოწვეული. კერძოდ, „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ“ დააფიქსირა შემდეგი პრობლემები: ცუდად შეღებილი და დაბზარული კედლები და ჭერი; არასათანადოდ დაგებული ლამინირებული იატაკი; არასათანადოდ დამონტაჟებული მეტალოპლასტმასის კარ-ფანჯრები და სავენტილაციო სისტემები; არასათანადოდ დამიწებული და ცუდად დაფარული ელექტრო სადენები;⁵⁴ მოშლილი ონკანები, აბაზანები და პირსაბანები; დაბალი ხარისხის კაფელი, ელექტრო-მასრები, კარნიზები, პლინტუსები, კარის საკეტები და ჩარჩოები.

⁵¹ მგელაძე და ჭარაქაშვილი, განმეორებითი ციტირება.

⁵² მგელაძე, განმეორებითი ციტირება.

⁵³ მაისის შუა რიცხვებში „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ მიერ განხორციელებული ვიზიტის დროს, სოფელ ნოჯიხევის (ხობის რაიონი) ყოფილი პროფსასწავლებლის შენობებში სარემონტო სამუშაოები ჯერ კიდევ არ იყო დასრულებული. მაგალითად, #4 შენობაში ნესტისა და ობის პრობლემები ისე მწვავედ იდგა, რომ სამშენებლო კომპანიის წარმომადგენლებმა დევნილებს განუცხადეს, რომ ისინი კედლების შეღებვის შემდეგ 2 კვირას დაიცდიდნენ და თუ ნესტი და ობი ამ კედლებზე კვლავ გავრცელდებოდა, შენობას საცხოვრებლად უვარგისად ჩათვლიდნენ და ჩამოწერდნენ.

⁵⁴ ელექტრო სადენების უსაფრთხოების თვალსაზრისით, განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობა იყო ახალსოფლის ყოფილი სკოლა-ინტერნატის საერთო საცხოვრებელში, სოფელ ოქტომბრის პროფსასწავლებელში (ზუგდიდის რაიონი) და ჩაქვის ყოფილ #1 საშუალო სკოლაში (წერეთლის ქ. 5), სადაც დევნილებს მათი მოწესრიგება თავად უხდებოდათ. სამშენებლო კომპანიებმა დევნილებს უთხრეს, რომ პრობლემის მოსაგვარებლად შესაბამის ელექტროენერგიის კომპანიებისთვის მიემართათ.

ზოგმა დევნილმა ოჯახმა „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ მკვლევარებს განუცხადა, რომ სამშენებლო კომპანიებმა მათ საშუალება მისცეს, სამშენებლო მასალების (მაგ. ლამინირებული იატაკის, პლინტუსების, კარნიზების, თაბაშირმუყაოს, შპალერისა და კაფელის) ფერები თავად შეერჩიათ, თუმცა თვითონ მასალები მაღალი ხარისხის არ ყოფილა. ამავე დროს, იყო შემთხვევები, როდესაც დევნილებმა კომპანიებს გარკვეული მასალების სხვა მასალებით შეცვლა სთხოვეს და შეაცვლევინეს კიდეც.⁵⁵

ამის მიუხედავად, იმ შენობების უმეტესობაში, რომელიც „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ“ მოინახულა, დევნილ ოჯახებს დაბალი ხარისხის სამშენებლო მასალების უკეთესი მასალებით შეცვლა საკუთარი ხარჯებით უზდებოდათ. რამდენიმე ოჯახმა საკუთარ ბინაში დამატებითი სამუშაოებიც ჩაატარა, მაგალითად, კარი თაღით შეცვალა, სააბაზანოს ყველა კედელზე კაფელი გააკრა⁵⁶ ან ახალი პირსაბანი და ჭერის სანათი დაამონტაჟა.

ერთ-ერთმა ოჯახმა „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ განუცხადა, რომ სამშენებლო კომპანიების მიერ შეძენილი წყლის ონკანები და ელექტრო-მასრები იმდენად დაბალხარისხიანი გამოდგა, რომ ბევრ დევნილს მათი ბევრად დაბალ ფასად უკან დაბრუნება და ახალი მასალების საკუთარი ხარჯებით ყიდვა მოუხდა. „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ მკვლევარებმა ბევრი ისეთი ბინა იხილეს, სადაც ძალზე დაბალხარისხიანი წყლის ონკანები და ელექტრო-მასრები გამოცვლილი არ იყო. კიდევ ერთმა ოჯახმა განაცხადა, რომ მათ საკუთარი ხარჯებით გამოცვალეს სააბაზანოს კაფეელი, რომელიც გაკვრის შემდეგ ჩამოცვივდა და დაიმტვრა.

„მუნიციპალური განვითარების ფონდის“ წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ, მცირე დაფინანსების გამო, მათ კოლექტიური ცენტრების გასარემონტებლად მაღალი ხარისხის მასალების შეძენა არ შეეძლოთ. ამასთან ერთად, ისინი ამტკიცებდნენ, რომ ზოგი დევნილის მიერ ახალი მასალების შეძენის ფაქტები იმაზე არ მიუთითებდა, რომ ფონდის მიერ გამოყენებული მასალები დევნილთა საჭიროებებს არ შეესაბამებოდა.⁵⁷

სოფელ ინგირის პროფსასწავლებლის შენობაში მკვლევართა გუნდმა საინტერესო სურათი იხილა. დევნილთა თქმით, იმ დევნილთა ბინები, რომლებიც რემონტის პროცესს თავად უწევდნენ ზედამხედველობას, სხვა ბინებზე უკეთ გარემონტდა. ამავე დროს, დევნილებმა „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ განუცხადეს, რომ ბევრ დევნილს, რომელთანაც შესაბამისმა სამშენებლო კომპანიამ (შ.პ.ს. „ინდუსტრია – 2“) შრომითი კონტრაქტი გააფორმა, სარემონტო სამუშაოების 60–70 პროცენტის ჩატარება თავად მოუხდა. დევნილთა თქმით, ამის მიზეზი ის იყო, რომ სხვა მუშებმა, რომლებიც დევნილები არ იყვნენ, ხელფასის გადაუხდელობის გამო, ობიექტი უბრალოდ მიატოვეს. ამასთან ერთად, #1 შენობის ზოგი თავისუფალი ოთახი (5 თუ 6) საერთოდ არ გარემონტიბულა, რადგან მათში რეგისტრირებული

⁵⁵ მაგალითად, ახალსოფლის ყოფილ სკოლა—ინტერნატში (ზუგდიდის რაიონი) მცხოვრებმა ექსმა ოჯახმა შ.კ.ს. „ბლოკ ჯორჯიას“ პლასტიკატის ჭერის თაბაშირმუყაოს ჭერით შეცვლა სთხოვა. მათ კომპანიას სააბაზანოში კაფელისა და ოთახებში პლინტუსების გამოცვლაც სთხოვეს. შ.კ.ს. „ბლოკ ჯორჯიას“ წარმომადგენლები მათთან მივიდნენ და ეს საკითხები მოუგარეს. ქუთაისის ყოფილი კოოპერაციული კოლეჯის შენობაში (ნიკეას ქ. 12) მცხოვრებმა დევნილებმა შ.კ.ს. „ოდასა“ და შ.კ.ს. „მშენებელი – 80“-ს სახურავის გამოცვლა სთხოვეს და კომპანიებმა ის მაღევე გამოცვალეს. ამ ორმა კომპანიამ სახურავის მოსაწესრიგებელი სამუშაოების ჩასატარებლად თავად დევნილები დაასაქმა.

⁵⁶ როგორც ჩანს, „მუნიციპალური განვითარების ფონდთან“ დადებული კონტრაქტების მიხედვით, კომპანიებს კაფელის გაკვრა მხოლოდ სააბაზანოს კედლების ნახევარზე ევალებოდათ. ამგვარად გაკრული კაფელი ბევრი დევნილის ბინაში დაფიქსირდა.

⁵⁷ მგელაძე და ჭარაქაშვილი, განმეორებითი ციტირება.

ოჯახები ამჟამად გალში ცხოვრობენ. დევნილებმა მკვლევართა გუნდს განუცხადეს, რომ შ.კ.ს. „ინდუსტრია – 2-ის“ წარმომადგენლებმა ამ ოთახების გასარემონტებლად მასალები შეიძინეს, მაგრამ როდესაც ნახეს, რომ ოთახებში არავინ ცხოვრობდა, ოთახები ხელუხლებლად დატოვეს. დევნილები ეჭვობდნენ, რომ მუშებმა მასალები გაყიდეს, მაგრამ ეს „მუნიციპალური განვითარების ფონდის“ ზედამხედველებმა არ დაადასტურეს.⁵⁸

3. მუნიციპალური სერვისები – წყალმომარაგებასთან და ნარჩენების გატანასთან დაკავშირებული პრობლემები

ბევრ დევნილ ოჯახს, რომელსაც „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ მკვლევარები გაესაუბრნენ, ბინაში ონგანის წყალი მცირე რაოდენობით ან სულ არ მიეწოდებოდა და ნარჩენების გატანასთან დაკავშირებული პრობლემებიც აწუხებდა. ათ კოლექტიურ ცენტრში დღის განმავლობაში ონგანის წყალი მცირე რაოდენობით მოდიოდა,⁵⁹ 3 ობიექტს კი წყალი საერთოდ არ მიეწოდებოდა.⁶⁰ ამ შენობების უმეტესობის მაცხოვრებლები სასმელ წყალს ეზოში არსებული ჭებიდან იღებენ, თუმცა სამეცნელოს 6 კოლექტიურ ცენტრში⁶¹ არსებულ ჭებში წყლის რაოდენობა მცირეა და მრავალსართულიან სახლებში მცხოვრები დევნილები ჩვეულებრივი წნევით მის უწყვეტად ატუმბვას ვერ ახერხებენ, განსაკუთრებით ზაფხულში, როდესაც ჭები ხშირად შრება და წყალი დასალევად უვარგისი ხდება. ასეთი პრობლემების არსებობა მიუთითებს, რომ სარემონტო სამუშაოები თითოეული შენობის საჭიროებებზე და პირობებზე მორგებული არ ყოფილა და „მუნიციპალური განვითარების ფონდის“ მიდგომა „ყველაზე მარტივი“ პრობლემების თანაბრად მოგვარებას ითვალისწინებდა და არა ყველაზე მწვავე საჭიროებებზე აქცენტირებას.

როგორც ზემოთ აღინიშნა, „მუნიციპალური განვითარების ფონდის“ წყალმომარაგების პროექტები მხოლოდ ისეთი მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარებას ითვალისწინებდა, როგორიცაა ეზოებში ჭების დამონტაჟება, რაც დევნილებს საკმაო რაოდენობის წყლით ვერ უზრუნველყოფს, განსაკუთრებით გვალვის პერიოდში. ფონდის წარმომადგენლები განმარტავენ, რომ უმეტეს შემთხვევაში სასმელი წყლის პრობლემა მთელ სოფელს ან ქალაქს აწუხებს და მხოლოდ კოლექტიური ცენტრებით არ შემოიფარგლება. ისინი ამტკიცებენ, რომ სამეცნელოს

⁵⁸ იქვე

⁵⁹ ესენია: ქუთაისის ყოფილი კოოპერაციული კოლეჯისა და საერთო საცხოვრებლის შენობა (ნიკეას ქ. 12); ქუთაისის ყოფილი საბავშვო ბაღი (ბელორუსის ქ. 6); ხონის სამხედრო დასახლების #91 კორპუსი; #2 სახლი სოფელ ბანძაში (მარტვილის რაიონი); ქ. მარტვილის ყოფილი სკოლის შენობა (მშვიდობის ქ. 114); სენაკის სამხედრო დასახლების #210 კორპუსი; სოფელ ნოჯიხევის ყოფილი პროფსასწავლებლის #4 შენობა (ხობის რაიონი); ლესიჭინეს ყოფილი საბავშვო ბაღი (ჩხოროწყუს რაიონი); ახალსოფლის ყოფილი სკოლა–ინტერნატი (ზუგდიდის რაიონი); სოფელ ოქტომბრის პროფსასწავლებელი და მისი საერთო საცხოვრებელი (ზუგდიდის რაიონი).

⁶⁰ სენაკის ყოფილი სკოლის შენობას (რუსთაველის ქ. 112), ქ. ჩხოროწყუს #3 სკოლასა და ქვედა ჩხოროწყუს ყოფილ #3 საბავშვო ბაღს (კვირკველის ქუჩა) ონგანის წყალი არ მიეწოდებოდა და დევნილებს წყლის მოტანა ამ შენობების გარედან უხდებოდათ.

⁶¹ ასეთი მდგომარეობა იყო შემდეგ კოლექტიურ ცენტრებში: სოფელ ნოჯიხევის ყოფილი პროფსასწავლებლის #4 შენობა (ხობის რაიონი); #1 და 2 სახლები სოფელ ბანძაში (მარტვილის რაიონი); ქ. მარტვილის ყოფილი სკოლის შენობა (მშვიდობის ქ. 114); სენაკის სამხედრო დასახლების #210 კორპუსი; სოფელ ოქტომბრის პროფსასწავლებელი და მისი საერთო საცხოვრებელი (ზუგდიდის რაიონი); ახალსოფლის ყოფილი სკოლა–ინტერნატი (ზუგდიდის რაიონი).

ბევრ დასახლებაში ეს პრობლემა თანდათან გვარდება, რაც იმის მანიშნებელია, რომ ონგანის წყლით მომარაგება, სავარაუდოდ, დევნილებისთვისაც გაუმჯობესდება.⁶²

კიდევ ერთი სერიოზული პრობლემა, რომლის წინაშეც დევნილები დგანან, ნარჩენების გატანას უკავშირდება. მკვლევარების მიერ მონახულებული კოლექტიური ცენტრების უმეტესობის გარეთ ნაგვის კონტეინერები არ იდგა და დევნილებს ნაგვის გადასაყრელად დიდი მანძილის ფეხით გავლა უხდებოდათ. ამასთან ერთად, ქ. მარტვილის ყოფილი სკოლის შენობაში (მშვიდობაძის ქ. 114), სარემონტო სამუშაოებისაგან წარმოქმნილი ნარჩენები პირდაპირ შენობის ეზოში ეყარა. ქუთაისსა და ზუგდიდში მომუშავე ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ მკვლევარებს განუცხადეს, რომ ეს პრობლემა რამდენიმე სხვა კოლექტიურ ცენტრშიც არსებობდა.⁶³ მიუხედავად იმისა, რომ ნარჩენების გატანის პრობლემასთან დაკავშირებით „მუნიციპალური განვითარების ფონდსა“ და სამშენებლო კომპანიებს პასუხისმგებლობა ნაკლებად ეკისრებათ, ამ მიმართულებით ადგილობრივი მუნიციპალიტეტების ანგარიშვალდებულების დონე უფრო მაღალი უნდა იყოს.⁶⁴

4. „მუნიციპალური განვითარების ფონდის“ კონტრაქტორი კომპანიების მიერ დეფექტების გამოსწორების ვალდებულების არასათანადოდ შესრულება

კოლექტიურ ცენტრებში განხორციელებული ვიზიტების ორივე ეტაპზე, „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ გუნდმა შეამჩნია, რომ „მუნიციპალური განვითარების ფონდი“, ზოგადად, ვერ ახერხებდა შესაბამისი სამშენებლო კამპანიების იძულებას, მოეხდინათ ეფექტური რეაგირება სარემონტო სამუშაოების შესახებ დევნილთა მიერ გამოთქმულ საჩივრებზე.

დევნილთა თქმით, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს ქუთაისისა და ზუგდიდის რეგიონული ოფისები სამშენებლო კომპანიებთან დევნილების სახელით წარმოებულ მოლაპარაკებებში და მათთან კავშირის უზრუნველყოფაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა. დევნილები მიმართავდნენ სამინისტროს რეგიონულ ოფისებს დამატებითი სარემონტო სამუშაოების ჩატარების თხოვნით, რის შემდეგაც, შესაბამისი სამშენებლო კომპანიების წარმომადგენლები მათთან რამდენიმეჯერ (ყოველ 3–4 თვეში ერთხელ) ბრუნდებოდნენ, ადგილზე არსებულ მდგომარეობას ამოწმებდნენ და სარემონტო სამუშაოების შემდგომი დეფექტების გამოსწორებას ჰპირდებოდნენ. ამის მიუხედავად, დევნილებმა „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ მკვლევარებს განუცხადეს, რომ სარემონტო სამუშაოები დაწყებული არ იყო. მეტიც, ზოგ შემთხვევაში, დევნილთა მიერ სარემონტო სამუშაოებთან დაკავშირებით გამოთქმულ საჩივრებს რეაგირება საერთოდ არ მოჰყოლია. მაგალითად, სოფელ ოქტომბრის (ზუგდიდის რაიონი) ყოფილი პროფსასწავლებლის შენობაში (ერთ-ერთი ის ობიექტი, რომელშიც მნიშვნელოვანი დეფექტები აღინიშნება) მცხოვრებმა დევნილებმა, მკვლევარებს განუცხადეს, რომ მათ სარემონტო სამუშაოების ხარისხთან დაკავშირებით უკმაყოფილების გამოსახატავად განცხადებით მიმართეს ლტოლვილთა და განსახლების

⁶² მგელაძე და ჭარაქაშვილი, გამეორებითი ციტირება.

⁶³ „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ პრეზენტაციები ქუთაისისა და ზუგდიდში, განმეორებითი ციტირება.

⁶⁴ მაგალითად, ქუთაისის მერიის წარმომადგენლებმა ქუთაისის რეზინის ქარხნის ყოფილი პროფილაქტორიუმის კლინიკის შენობაში (ჭონქაძის ქ. 52) მცხოვრებ დევნილებს განუცხადეს, რომ მერიას კოლექტიური ცენტრის ეზოში დასადგმელად საკმარისი ნაგვის კონტეინერები არ გააჩნია.

სამინისტროს ზუგდიდის რეგიონულ ოფისს, მაგრამ სამინისტროს წარმომადგენლებს ჯერჯერობით არანაირი რეაგირება არ მოუხდებიათ.

როგორც ზემოთ აღინიშნა, „მუნიციპალური განვითარების ფონდის“ კონტრაქტორმა კომპანიებმა სარემონტო სამუშაოების დასრულების შემდეგ წარმოშობილი ყველა დეფექტი 1-წლიან პასუხისმგებლობის პერიოდში უნდა გამოასწორონ, თუმცა მკვლევართა გუნდის მიერ მონახულებული ყველა კოლექტიური ცენტრის⁶⁵ შემთხვევაში, ეს პერიოდი უკვე გასულია. ფონდის წარმომადგენლებმა „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ მკვლევარებს განუცხადეს, რომ დევნილების კოლექტიური ცენტრების სარემონტო სამუშაოებს, ფონდის ტექნიკური განყოფილების სპეციალისტებთან ერთად, ადგილზე მონიტორინგს უწევდა ამ უწყების 12 ზედამხედველი ინჟინერი/კონსულტანტი. ამასთან ერთად, ევროკავშირის შესაბამისი ექსპერტები ატარებდნენ მიმდინარე სამუშაოების პერიოდულ მონიტორინგს და ფონდს საკუთარ რეკომენდაციებს აწვდიდნენ.⁶⁶ ფონდის ზედამხედველი ინჟინერი ზოგიერთ ამ ობიექტზე პრობლემების დასაფიქსირებლად ბრუნდებოდნენ და მათ შესახებ შესაბამის კომპანიებს ატყობინებდნენ, მაგრამ კომპანიებს ამ შეტყობინებების მიღების შემდეგ პრობლემების გამოსასწორებლად და სარემონტო სამუშაოების საერთო ხარისხის გასაუმჯობესებლად ბევრი არაფერი გაუკეთებიათ.

2011 წლის აგვისტოში, „მუნიციპალური განვითარების ფონდმა“ „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ 14 მონახულებულ კოლექტიურ ცენტრში შედგენილი დეფექტების გამოსწორების ოქმები და დევნილთა დამადასტურებელი ხელმოწერები მიაწოდა, იმის დასამტკიცებლად, რომ ამ შენობებში დაფიქსირებული დეფექტები სამშენებლო კომპანიებმა დროულად გამოასწორეს. ამის მიუხედავად, ეს დოკუმენტები არ შეიცავდა კომპანიების მიერ გამოსწორებული დეფექტების ტიპებსა და აღწერას და, შესაბამისად, „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ“ მათი მკვლევართა გუნდის მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან შედარება ვერ შეძლო. ქვემოთ წარმოდგენილია სენაკის სამხედრო დასახლებაში შედგენილი დეფექტების გამოსწორების ოქმებისა და დევნილთა დამადასტურებელი ხელმოწერების ნიმუშები:

⁶⁵ კოლექტიური ცენტრების უმეტესობის შემთხვევაში, ეს ვადა 2009 წელს გავიდა, 6 შენობის შემთხვევაში კი – 2010 წელს. ბათუმში მდებარე 2 შენობის შემთხვევაში, ეს ვადა მხოლოდ ახლახანს, ივნისში ამოიწურა.

⁶⁶ მგელაძე და ჭარაქაშვილი, განმეორებითი ციტირება.

ილუსტრაცია 1: „მუნიციპალური განვითარების ფონდის“ დეფექტების გამოსწორების ოქმის ნიმუში (შედგენილია სენაკის სამხედრო დასახლებაში)

**ოქმი
დეფექტებზე პასუხიმგებლობის პერიოდის ვადის გასვლის თაობაზე**

ოქმის შედგენის ადგილი: სენაკი
თარიღი: 2011 წლის 21 იანვარი

ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერმა პირებმა (მხარეები) შევადგინეთ აღნიშნული ოქმი მასზედ, რომ კონტრაქტის № საფუძველზე შემსრულებელმა (კონტარქტორი) (შ.პ.ს. „მშენებელი 80“) დაასრულა N შენობების სარეაბილიტაციო სამუშაოები.

რაზედაც 2010 წლის 20 იანვარს გაფორმებული იქნა შესაბამისი მიღება–ჩაბარების აქტი.

საგარანტიო პერიოდში გამოვლენილი დეფექტები კონტრაქტორის მიერ სრულად იქნა აღმოფხვრილი.

შემსრულებელთან გაფორმებული ხელშეკრულებიდან გამომდინარე, მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებიდან გავიდა 365 დღე, რასთან დაკავშირებითაც შემსრულებელს (შ.პ.ს. „მშენებელი 80“) გაუვიდა დეფექტებზე პასუხისმგებლობის პერიოდი.

ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით, გაფორმდა წინამდებარე ოქმი, რომელიც დავამოწმეთ.

ჩაწერილია სწორედ, რასაც ვადასტურებთ ხელმოწერით:

ხელმომწერები: „მუნიციპალური განვითარების ფონდი“ და შ.პ.ს. „მშენებელი 80“

ილუსტრაცია 2: დევნილთა მიერ სარემონტო სამუშაოების დასრულების დამადასტურებელი ხელმოწერების ნიმუში (სენაკის სამხედრო დასახლება)

**დევნილთა დამადასტურებელი ხელმოწერის ნიმუში
ოქმი №**

ქ. სენაკი
2010 წლის 10 დეკემბერი

ქ. სენაკში სამხედრო დასახლებაში ყოფილი სამხედროების საცხოვრებელ სახლებში მცხოვრები იძულებით გადაადგილებული პირები ვადასტურებთ, რომ კონტრაქტი № სარეაბილიტაციო სამუშაოების შემდგომ პერიოდში წარმოშობილი დეფექტები გასწორებულია და სამშენებლო კომპანიასთან პრეტენზია არ გვაქვს.

ხელმომწერები: დევნილები

* მაცხოვრებლების ვინაობის გამუღავნების თავიდან ასაცილებლად, ოქმზე ხელმომწერი პირების ვინაობა და შენობების ნომრები კონფიდენციალური დარჩა.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ გუნდი 2001 წლის 18 მაისს, დეფექტების გამოსწორების ოქმებზე ხელის მოწერიდან რამდენიმე თვის შემდეგ, სენაკის სამხედრო დასახლების #210 კორპუსში დაბრუნდა და იქ განსხვავებული სურათი იხილა. კერძოდ, შენობაში ნესტან და ობთან დაკავშირებით მძიმე პრობლემები არსებობდა. სარდაფი წყლით იყო სავსე, კანალიზაციის სისტემა სათანადოდ მოწესრიგებული არ იყო და, წყალსაქაჩი ტუმბოების დაზიანების გამო, შენობას ონკანის წყალი შეზღუდვებით მიეწოდებოდა. „მუნიციპალური განვითარების ფონდის“ წარმომადგენლებმა „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ მკვლევარებს განუცხადეს, რომ ეს დეფექტები, სავარაუდოდ, ერთწლიანი პასუხისმგებლობის პერიოდის გასვლის შემდეგ გამოვლინდა, რადგან, სხვა შემთხვევაში, ფონდი შემსრულებელ კომპანიაზე შესაბამის სერთიფიკატს არ გასცემდა. ამის მიუხედავად, კოლექტიურ ცენტრში არსებული მდგომარეობა იმაზე მიუთითებს, რომ პასუხისმგებლობის პერიოდში დამატებითი სარემონტო სამუშაოები მაღალი ხარისხით არ ჩატარებულა, რადგან მეორე ტიპის დეფექტები მოკლე პერიოდში კვლავ გამოვლინდა. მართალია, ამ დასკვნის „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ მიერ მონახულებულ ყველა კოლექტიურ ცენტრზე განზოგადება არ შეიძლება, მაგრამ ის მაინც მიუთითებს იმაზე, რომ ფონდმა უნდა გააუმჯობესოს სარემონტო სამუშაოების შემდეგ წარმოქმნილი დეფექტების დაფიქსირების მეთოდი და უკეთ შეამოწმოს, რამდენად ჯეროვნად გამოასწორა ისინი პასუხისმგებელმა კომპანიამ.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოსთან“ ინტერვიუში, ფონდის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ დევნილთა საჩივრების საფუძველზე დეფექტების გამოსწორების ახალი მექანიზმი, რომელიც ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრომ 2011 წლის ივლისში დაამტკიცა, მომავალში ფონდის სამშენებლო/სარეაბილიტაციო პროექტებზე დადებით გავლენას მოახდენს. მათ აღნიშნეს, რომ ეს მექანიზმი ფონდს და პროექტების განმახორციელებელ სხვა უწყებებს საშუალებას მისცემს, დევნილებისგან პირდაპირ მიიღონ მშენებლობასთან/სარემონტო სამუშაოებთან დაკავშირებული საჩივრები და მათზე რეაგირება სწრაფად მოახდინონ. ამასთან ერთად, მექანიზმი უზრუნველყოფს, რომ დევნილები უფრო აქტიურად ჩაერთონ პროექტების როგორც სამშენებლო/სარეაბილიტაციო, ისე დეფექტების შესახებ შეტყობინების ფაზაში. აღსანიშნავია, რომ ამ მექანიზმის შემუშავებაში, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროში არსებული შესაბამისი ტექნიკური საექსპერტო ჯგუფის ფარგლებში, თავად „მუნიციპალური განვითარების ფონდიც“ იყო ჩართული.⁶⁷

მიუხედავად იმისა, რომ ახალი დეფექტების გამოსწორების მექანიზმი უკუქმედების ძალით იმ კოლექტიურ ცენტრებს არ შეეხება, რომელიც „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ გუნდმა მოინახულა, რადგან ამ ობიექტების შემთხვევაში პასუხისმგებლობის პერიოდი უკვე გასულია, ის შეიძლება პოზიტიურ წინგადადგმულ ნაბიჯად ჩაითვალოს, რომელიც პასუხისმგებელი უწყებებისა და კონტრაქტორი კომპანიების ანგარიშვალდებულების ხარისხს აამაღლებს. ამ თვალსაზრისით, არსებითი მნიშვნელობა ენიჭება იმას, რომ დევნილებს ეს მექანიზმი ნათლად განემარტოთ, რათა მათ, საჭიროების შემთხვევაში, საჩივრების წარდგენა ადვილად შეძლონ.

⁶⁷ მგელაძე, განმეორებითი ციტირება.

საცხოვრებლების პრივატიზაცია და მობინადრეთა ამხანაგობები

სარემონტო სამუშაოების გარდა, დასავლეთ საქართველოს კოლექტიურ ცენტრებში მცხოვრებ დევნილებს მათი ბინების მომავალი პრივატიზაციის საკითხიც აწუხებთ. დევნილებმა „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ მკვლევარებს განუცხადეს, რომ მთავრობის მოხელეებმა, მათ შორის ლტოლვილთა და განსახლების მინისტრმა კობა სუბელიანმა, ისინი წარსულში რამდენჯერმე ინახულეს და 2011 წლის მარტისთვის ან აპრილისთვის მათი გარემონტებული ბინების საკუთრების რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტების გადაცემას დაპირდნენ.⁶⁸ ეს პირობა ჯერაც არ შესრულებულა. საკუთრების სათანადო დოკუმენტების უქონლობა დევნილებს საშუალებას არ აძლევს, რომ ქონების ღირებულებით ისარგებლონ, რაც მათ მომავალი საბინაო მდგომარეობის თვალსაზრისით დაუცველობის შეგრძნებას უძლიერებს და ხელისუფლების მიმართ კიდევ უფრო უნდობლობით განაწყობს.

დევნილთა თქმით, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს რეგიონული ოფისების წარმომადგენლებმა ბევრ კოლექტიურ ცენტრში უკვე ჩატარეს დევნილთა აღწერა და შეაგროვეს საჭირო დოკუმენტები იმის განსასაზღვრად, თუ ვინ სად ცხოვრობს და რამხელა ფართში, და რომელ ოჯახს რა ნომერი უნდა მიენიჭოს. ამის მიუხედავად, პრივატიზების პროცესი, როგორც ჩანს, აქ შეჩერდა. იმ 22 ობიექტიდან, რომელიც „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ მკვლევართა გუნდმა მოინახულა, მხოლოდ ერთი, ქუთაისში მდებარე აბიექტი (ზელორუსის ქ. 6) იყო სრულად პრივატიზებული; კიდევ ერთი, სენაკის სამხედრო დასახლებაში მდებარე აბიექტი (#210 კორპუსი), იქ მცხოვრები დევნილების თქმით, ნაწილობრივ იყო პრივატიზებული (ბინების დაახლოებით 50 პროცენტი).⁶⁹ 14 ივნისს, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს წარმომადგენლებმა საჯაროდ განაცხადეს, რომ კოლექტიური ცენტრების პრივატიზების პროცესი 2011 წლის ბოლოსათვის უნდა დასრულდეს.⁷⁰

პრივატიზების პროცესის ერთ–ერთ მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენს კომუნალური მომსახურებისთვის განკუთვნილი ის შეღავათები, რომელსაც „პირველი ტალღის“ დევნილები ამჟამად სახელმწიფოსგან ღებულობენ. ქართული კანონმდებლობით, კოლექტიურ ცენტრებში რეგისტრირებული დევნილები ღებულობენ ყოველთვიურ შემწეობას ოჯახის თითოეულ წევრზე 22 ლარის ოდენობით. ისინი ასევე უფასოდ ღებულობენ 100 კილოვატსაათ ელექტროენერგიას ოჯახის თითოეულ წევრზე (რაც თვეში თითო დევნილზე 12.98 ლარის ექვივალენტური ოდენობაა). ამასთან ერთად, მათ არ უხდებათ წყლის, დასუფთავებისა და ნარჩენების გატანის გადასახადების გადახდა. მეორეს მხრივ, კერძო სექტორში რეგისტრირებული დევნილები ოჯახის თითო წევრზე 28 ლარის ოდენობის შემწეობას ღებულობენ, მაგრამ მათ ელექტროენერგიისა და სხვა კომუნალური გადასახადების დასაფარად შეღავათები არ ეძლევათ.⁷¹ მიუხედავად იმისა, რომ დევნილთა არც ერთი კატეგორია ბუნებრივი აირის

⁶⁸ სოფელ ბანძას ორ სახლში (მარტვილის რაიონი) მცხოვრებ დევნილებს გასულ ზაფხულში მინისტრმა სუბელიანმა განუცხადა, რომ ისინი ბინების საკუთრების რეგისტრაციის დამადასტურებელ დოკუმენტებს მას შემდეგ მიიღებდნენ, რაც შესაბამისი სამშენებლო კომპანიები აბიექტზე ელექტროენერგიის ინდივიდუალური მრიცხველების მონტაჟს დაასრულებდნენ.

⁶⁹ ამ შემთხვევაში, ზოგ დევნილს უკვე ჰქონდა ქონების რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტები, ზოგს კი – არა, თუმცა მათ იცოდნენ, რომ ქონება რეგისტრირებული იყო და მათ მხოლოდ საჯარო რეესტრიდან შესაბამისი დოკუმენტების მიღება სჭირდებოდათ. გაურკვეველი იყო, ზოგი მათგანი რეგისტრაციის დოკუმენტების თავიდანვე მიღებას რატომ არ ეცადა.

⁷⁰ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ მე-2 არხი, განმეორებითი ციტირება.

⁷¹ ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს საინფორმაციო კანკანიაზე მომუშავე დროებითი ტექნიკური საექსპერტო ჯგუფი, „ინფორმაცია დევნილთათვის ხელმისაწვდომი დახმარებისა და შეღავათების შესახებ“, 2010 წლის მარტი

გადასახადის დასაფარად სუბსიდიას არ ღებულობს, ბევრ კოლექტიურ ცენტრში მნიშვნელოვან პრობლემას თავად ბუნებრივი აირით მომარაგების არარსებობა წარმოადგენს. მონახულებული 22 კოლექტიური ცენტრიდან ბუნებრივი აირი მხოლოდ 2 ობიექტში (ზინიკაძის ქ. 4—ში მდებარე ბათუმის საზღვაო აკადემიასა და ნიკეას ქ. 19-ში მდებარე ქუთაისის ყოფილ საბავშვო ბაღში⁷²) იყო შეყვანილი.⁷³ „მუნიციპალური განვითარების ფონდი“ დასავლეთ საქართველოს კოლექტიურ ცენტრებში ბუნებრივი აირით მომარაგების გასაუმჯობესებლად გამიზნულ პროექტებს არ ახორციელებს. ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს რეაბილიტაციის სტანდარტების მიხედვით, შენობებში ბუნებრივი აირის შეყვანა ადგილობრივ მუნიციპალიტეტებს ევალებათ. მართლაც, ბევრმა დევნილმა ინტერვიუში აღნიშნა, რომ ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს რეგიონული ოფისებისა და ადგილობრივი მუნიციპალიტეტების წარმომადგენლები მათ ბუნებრივი აირის პრობლემის მოგვარებას დაჰპირდნენ და „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ მკვლევარებმა ზოგი შენობის გარეთ დამონტაჟებული ბუნებრივი აირის მიღებიც ნახეს.⁷⁴ ამის მიუხედავად, ჯერაც გაურკვეველია, როდის დასრულდება ეს პროცესი ყველა გარემონტებულ შენობაში. ნებისმიერ შემთხვევაში, მას შემდეგ, რაც ორივე კატეგორიის დევნილებს (კოლექტიურ ცენტრებში და კერძო სექტორში რეგისტრირებულებს) გარემონტებული ბინები საკუთრებაში ოფიციალურად გადაეცემათ, სახელმწიფო მათ ბუნებრივ აირზე, ელექტროენერგიასა და სხვა კომუნალურ გადასახადებზე არსებულ შედავათებს მოუხსნის. ამის შემდეგ, დევნილებს ყველა კომუნალური გადასახადის გადახდა თავად მოუწევთ.

პრივატიზაციის პროცესის კიდევ ერთ კომპონენტს წარმოადგენს დევნილთა საცხოვრებელ კორპუსებში მობინადრეთა ამხანაგობების დაფუძნება, რაც მიზნად საკუთრების ერთობლივი მართვისა და ტექნიკური მომსახურების გაადვილებას ისახავს. აღსანიშნავია, რომ რიგ კოლექტიურ ცენტრებში, რომელიც მკვლევართა გუნდმა მოინახულა, მობინადრეთა ამხანაგობები ფაქტობრივად უკვე დაფუძნებული იყო და მკვლევარები ზოგი ამხანაგობის თავმჯდომარეს გაესაუბრნენ კიდეც.⁷⁵ ერთ-ერთი ამხანაგობის თავმჯდომარემ „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ განუცხადა, რომ სამშენებლო კომპანიის წარმომადგენლებმა, რომლებიც ობიექტზე დეფექტების დასაფიქსირებლად დაბრუნდნენ, განიხილეს დევნილთა ამხანაგობის წევრების მიერ მომზადებული გეგმა, რომელიც მრავალსართულიანი სახლის სადარბაზოების გარემონტებას შეეხებოდა.⁷⁶ ეს იმის მანიშნებელია, რომ, საერთო ობიექტების (მაგ. სადარბაზოები, ლიფტები, გათბობის სისტემები) ფუნქციონირების სამართავად და

⁷² ამ ობიექტში დევნილები მოხმარებული ბუნებრივი აირის ღირებულებას განვადების სისტემით საკუთარი ხარჯებით იხდიან.

⁷³ ბათუმის ყოფილ საბავშვო ბაღში (მელიქიშვილის ქუჩა, მე-3 შესახვევი, ბ. 21), რომელიც „საერთაშორისო გამჭვირვალობის“ მკვლევარებმა 17 მარტს მოინახულეს, დევნილებს მათ ოთახებში ბუნებრივი აირი მხოლოდ იმიტომ არ ჰქონდათ, რომ გაზის მრიცხველები შენობის სადარბაზოში ცუდად იყო დამონტაჟებული. თუმცა აპრილის ბოლოს, განმეორებითი დაკავშირების შედეგად, ჩვენ შევიტყვეთ, რომ შესაბამისი კომპანიის წარმომადგენლები პრობლემის მოსაგვარებლად დაბრუნდნენ და სარემონტო სამუშაოები ჯერ კიდევ მიმდინარეობდა.

⁷⁴ მაგალითად, ქუთაისის ყოფილი კომპერაციული კოლეჯისა და მისი საერთო საცხოვრებლის შენობის (ნიკეას ქ. 12) გარეთ ბუნებრივი აირის მიღები დამონტაჟებული იყო, მაგრამ თვითონ შენობას ბუნებრივი აირი კვლავ არ მიეწოდებოდა.

⁷⁵ „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ“ მობინადრეთა ამხანაგობების თავმჯდომარეებთან ინტერვიუები შემდეგ კოლექტიურ ცენტრებში ჩაატარა: ქუთაისის ყოფილი კოოპერაციული კოლეჯისა და მისი საერთო საცხოვრებლის შენობა (ნიკეას ქ. 12); ქუთაისის ყოფილი საბავშვო ბაღი (ნიკეას ქ. 19); სენაკის სამხედრო დასახლების #210 კორპუსში.

⁷⁶ ეს სენაკის სამხედრო დასახლების #210 კორპუსში მოხდა, რომელიც მხოლოდ ნაწილობრივ არის პრივატიზებული.

სამშენებლო კომპანიებთან მათი რეაბილიტაციის გეგმების განსახილველად, დევნილებისათვის მნიშვნელოვანია მათ კორპუსებში მესაკუთრეთა ერთობლივი წარმომადგენლობის არსებობა.

აღსანიშნავია, რომ შენობების პრივატიზაცია მობინადრეთა ამხანაგობების დაფუძნების აუცილებელი წინაპირობაა, თუმცა კოლექტიური ცენტრების აბსოლუტურ უმრავლესობაში, რომელიც „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ“ მოინახულა, დევნილებს ბინები კერძო საკუთრებაში ჯერ არ ჰქონდათ გადაცემული.

დასკვნები და რეკომენდაციები

საქართველოს მთავრობის მიერ დევნილთა კოლექტიური ცენტრების რეაბილიტაცია პოზიტიური წამოწყებაა, რომელიც განსაკუთრებულ აღნიშვნას იმსახურებს. ჩვიდმეტი წლის განმავლობაში, 1990-იანი წლების პირველი ნახევრის კონფლიქტების დროს ადგილნაცვალ პირებს უკიდურესად მძიმე პირობებში უწევდათ ცხოვრება და ძირითად საბინაო ინფრასტრუქტურაზე ხელი ნაკლებად მიუწვდებოდათ. მას შემდეგ, რაც „მუნიციპალური განვითარების ფონდმა“ მთელი საქართველოს კოლექტიურ ცენტრებში მნიშვნელოვანი სარეაბილიტაციო პროექტები განახორციელა, ეს მდგომარეობა შეიცვალა და ადამიანთა ამ მოწყვლად ჯგუფს სტაბილური საბინაო პირობები შეექმნა.

ამის მიუხედავად, სარემონტო სამუშაოების მოცულობამ და სწრაფმა ტემპმა (18 თვის განმავლობაში გარემონტდა 273 შენობა/7,241 ბინა) მათ ხარისხთან დაკავშირებული კითხვები გააჩინა. ამის საფუძველი განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში არსებობს, სადაც „მუნიციპალური განვითარების ფონდმა“ დევნილთა საცხოვრებლების სარეაბილიტაციო პროექტების დაახლოებით 80 პროცენტი განახორციელა.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ მკვლევართა გუნდმა აჭარაში, იმერეთსა და სამეგრელოში 22 სხვადასხვა კოლექტიური ცენტრი მოინახულა და გამოავლინა პრობლემათა 5 ძირითადი კატეგორია, რომელიც ამ ობიექტებზე ჩატარებულ სარემონტო სამუშაოებს უკავშირდება. ესენია:

1. მძიმე ფორმით არსებული ნესტი და ობი – სადრენაჟო ინფრასტრუქტურის მოუწესრიგებლობა
2. სამშენებლო მასალებისა და სარემონტო სამუშაოების შესრულების დაბალი ხარისხი
3. წყალმომარაგებასთან და ნარჩენების გატანასთან დაკავშირებული პრობლემები
4. 1-წლიანი პასუხისმგებლობის პერიოდის განმავლობაში სარემონტო სამუშაოების დეფექტების გამოსწორების ვალდებულების არასათანადოდ შესრულება
5. კოლექტიური ცენტრების საკუთრებაში ოფიციალურად გადაცემის დაყოვნება, იმ პირობებში, როდესაც დევნილები კერძო მესაკუთრის ვალდებულებებს სრულყოფილად ასრულებენ (მაგალითად, იხდიან კომუნალურ გადასახადებს, ასწორებენ სარემონტო სამუშაოების შემდგომ დეფექტებსა და საკუთარ თავზე იღებენ დამატებითი ტექნიკური მომსახურების ხარჯებს).

იმისთვის, რომ „მუნიციპალური განვითარების ფონდმა“ და სხვა პასუხისმგებელმა უწყებებმა მომავალში დევნილთა კოლექტიური ცენტრების რეაბილიტაციის პროექტების განხორციელებისას ანგარიშვალდებულების უფრო მაღალი ხარისხით იმოქმედონ, „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ მათ შემდეგ რეკომენდაციებს სთავაზობს:

- ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრომ, ადგილობრივმა მუნიციპალიტეტებმა და „მუნიციპალური განვითარების ფონდმა“ უკეთ უნდა მოახდინონ არსებული შენობების სარეაბილიტაციო შერჩევისა და სტრუქტურული შეფასების პროცესის კოორდინირება. ამასთან ერთად, მათ, თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში, უნდა ჩაატარონ შესასრულებელი სამუშაოების დანახარჯებისა და სარგებლიანობის ანალიზი, რათა უზრუნველყონ, რომ მომავალი სარეაბილიტაციო პროექტები კარგად დაგეგმილი და ხელმისაწვდომ დაფინანსებაზე მორგებული იყოს.

- კერძოდ, სარემონტო სამუშაოები მორგებული უნდა იყოს თითოეული შენობის საჭიროებებსა და პირობებზე და ითვალისწინებდეს მის ზომასა და მდებარეობას.
- „მუნიციპალური განვითარების ფონდმა“ უნდა გააუმჯობესოს მისი დეფექტების დაფიქსირებისა და ზედამხედველობის მექანიზმი, იმის უზრუნველსაყოფად, რომ დევნილთა სახლების სარეაბილიტაციო სამუშაოების მწარმოებელმა კონტრაქტორმა კომპანიებმა მეორე ტიპის დეფექტები 1-წლიანი პასუხისმგებლობის პერიოდის განმავლობაში სათანადოდ გამოასწორონ.
- დევნილებს ნათლად უნდა განემარტოთ მათ საცხოვრებლებში ჩატარებულ სარემონტო სამუშაოების ხარისხთან დაკავშირებული საჩივრების საფუძველზე დეფექტების გამოსწორების ახალი მექანიზმი, რათა მათ მომავალში, საჭიროების შემთხვევაში, ადვილად შეძლონ საჩივრების წარდგენა და პასუხისმგებელი უწყებების სწრაფი რეაგირების უზრუნველყოფა.
- ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრომ და ადგილობრივმა მუნიციპალიტეტებმა უნდა გააუმჯობესონ დევნილთათვის მუნიციპალური სერვისების მიწოდება, რათა გარემონტებულ კოლექტიურ ცენტრებში მოგვარდეს წყლისა და ბუნებრივი აირის მიწოდებასთან და ნარჩენების გატანასთან დაკავშირებული პრობლემები.
- ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრომ უნდა დაადგინოს თითოეული კოლექტიური ცენტრის პრივატიზების კონკრეტული თარიღი, აცნობოს მის შესახებ დევნილებს და პრივატიზების პროცესი, შეპირებისამებრ, 2011 წლის ბოლომდე დაასრულოს.

გამოყენებული წყაროები

დოკუმენტების სია

ევროკავშირის დაფინანსების ხელშეკრულება ფინანსთა სამინისტროსთან, „საქართველოს დევნილთა მიმართ სამოქმედო გეგმის მხარდაჭერა: 2008, 1-ლი ნაწილი“, 2008 წლის დეკემბერი

ევროკავშირის დაფინანსების ხელშეკრულება ფინანსთა სამინისტროსთან, „საქართველოს დევნილთა მიმართ სამოქმედო გეგმის მხარდაჭერა: 2008, მე-2 ნაწილი“, 2009 წლის ივლისი

ევროკავშირის დაფინანსების ხელშეკრულება ფინანსთა სამინისტროსთან, „საქართველოს დევნილთა მიმართ სამოქმედო გეგმის მხარდაჭერა: 2008, მე-3 ნაწილი“, 2010 წლის ივლისი

ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო, „დევნილთა განსახლების სტრატეგია და სამუშაო გეგმა“, თბილისი, 2011 წელი

ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო, „ინფორმაცია დევნილთათვის ხელმისაწვდომი დახმარებისა და შედავათების შესახებ“, საინფორმაციო კამპანიაზე მომუშავე დროებითი საექსპერტო ჯგუფი, 2010 წლის მარტი

„საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი“, „მუნიციპალური განვითარების ფონდის ფარგლებში მიმდინარე კონტრაქტების სია“, მონაცემები წარმოდგენილია 2011 წლის აპრილის მდგომარეობით

გაერო-ს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი, „2007–2010 წლების თავმესაფრის პროექტები სტაბილური საცხოვრებლებისთვის“, მონაცემები წარმოდგენილია 2010 წლის აპრილის მდგომარეობით

სხვა წყაროები

„დანიის ლტოლვილთა საბჭო“, „ანგარიში სამეგრელოს რეგიონის კერძო სექტორში განსახლებული დევნილების გამოკითხვის შესახებ: კერძო სექტორში არსებული საბინაო პირობებისა და სტაბილური საცხოვრებლით უზრუნველყოფის პროცესის ანალიზი“, ზუგდიდი, 2010 წლის ივნისი.

გვასალია, ინგა, „დევნილებს საცხოვრებლების რეაბილიტაციის ხარისხი არ აკმაყოფილებთ“, „ადამიანის უფლებათა ცენტრი“, სამეგრელო, 2010 წლის 15 ოქტომბერი,
<http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=12396&lang=geo> (ნანახია 2011 წლის 29 აგვისტოს)

ჰუნდერი, ჯოან, „ფრენშის დრენაჟები: როცა ისინი გჭირდებათ“, „ჰუსლოგიკი“, 2009 წლის 23 სექტემბერი, <<http://www.houselogic.com/articles/french-drains-when-you-need-them/>> (ნანახია 2011 წლის 29 აგვისტოს)

კავაბაძე, შორენა, „დევნილების გარემონტებული საცხოვრებელი იტბორება“, „ადამიანის უფლებათა ცენტრი“, ქუთაისი, 2010 წლის 29 ოქტომბერი, <<http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=12464&lang=geo>> (ნანახია 2011 წლის 29 აგვისტოს)

„საზოგადოებრივი მაუწყებლის“ მე-2 არხი, „თავისუფალი ტრიბუნა“, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს წარმომადგენლები, 2011 წლის 14 ივნისი, <<http://www.2tv.ge/ViewVideo.aspx?VID=596>> (ნანახია 2011 წლის 29 აგვისტოს)

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“, „კოტეჯური ტიპის დასახლებები ახალი დევნილებისთვის საქართველოში: ანგარიშვალდებულება დახმარებისა და მშენებლობის პროცესში“, 2010 წლის აპრილი, თბილისი, <http://transparency.ge/sites/default/files/post_attachments/new_transparency_geo.pdf> (ნანახია 2011 წლის 29 აგვისტოს)

ა.შ.შ.-ის გარემოს დაცვის სააგენტო (EPA), „კერძო სახლის მესაკუთრეთა გზამკვლევი სეპტიკური სისტემების შესახებ“, შემუშავებულია 2005 წელს:
<http://www.epa.gov/owm/septic/pubs/homeowner_guide_long.pdf> (ნანახია 2011 წლის 29 აგვისტოს)

მსოფლიო ბანკი, „რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტი“, პროექტი ერთი შეხედვით,
<<http://web.worldbank.org/external/projects/main?pagePK=64283627&piPK=73230&theSitePK=40941&menuPK=228424&Projectid=P110126>> (ნანახია 2011 წლის 29 აგვისტოს)

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია, „მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის რეკომენდაციები შენობებში ჰაერის ხარისხის შესახებ: ნეტი და ობი“, 2009,
<http://www.euro.who.int/__data/assets/pdf_file/0017/43325/E92645.pdf> (ნანახია 2011 წლის 29 აგვისტოს)

ინტერვიუების სია

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ ინტერვიუ ლაშა მგელაძესთან („საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის“ აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე), თბილისი, 2011 წლის 28 ივნისი

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ მიმოწერა ლაშა მგელაძესთან („საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის“ აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე) და პაატა ჭარაქაშვილთან („საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის“ საერთაშორისო ურთიერთობების განყოფილების უფროსი), 2011 წლის 18 აგვისტო

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ ინტერვიუ პაატა ჭარაქაშვილთან
(„საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის“ საერთაშორისო
ურთიერთობების განყოფილების უფროსი), 2011 წლის 23 აგვისტო

დიაგრამები

დიაგრამა 1: გარემონტებული ბინების რაოდენობა რეგიონების მიხედვით
დიაგრამა 2: სარემონტო სამუშაოებზე გაწეული დანახარჯი სამშენებლო კომპანიების მიხედვით
დიაგრამა 3: დამატებითი სარეაბილიტაციო პროექტები რეგიონების მიხედვით
დიაგრამა 4: რეაბილიტაციაზე გაწეული დამატებითი დანახარჯი სამშენებლო კომპანიების მიხედვით
დიაგრამა 5: პროექტების საერთო დანახარჯი სარემონტო სამუშაოების ტიპების მიხედვით

ფოტოები

ფოტო 1: ბათუმის საზღვაო აკადემიის შენობა
ფოტო 2: #2 სახლი ბანძაში
ფოტო 3: ქუთაისის პროფილაქტორიუმის შენობა
ფოტო 4: ოქტომბრის პროფსასწავლებლის შენობა
ფოტო 5: ნოვიხევის პროფსასწავლებელის #4 შენობა
ფოტო 6: სენაკის სკოლის შენობა
ფოტო 7: სენაკის სამხედრო დასახლების #210 კორპუსის სარდაფი
ფოტო 8: ჩხოროწყუს #3 სკოლის სარდაფი
ფოტო 9: ბათუმის ნარკოლოგიური დისპანსერის შენობის მიმდებარე ტერიტორია
ფოტო 10: ინგირის პროფსასწავლებლის შენობის მიმდებარე ტერიტორია

ილუსტრაციები

ილუსტრაცია 1: „მუნიციპალური განვითარების ფონდის“ დეფექტების გამოსწორების ოქმის ნიმუში (შედგენილია სენაკის სამხედრო დასახლებაში)
ილუსტრაცია 2: დევნილთა მიერ სარემონტო სამუშაოების დასრულების დამადასტურებელი ხელმოწერების ნიმუში (სენაკის სამხედრო დასახლება)

